ალია

N171/3293/ 11 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ამის მერე ვინც კიდევ გვეტყვის, გადასახადები პატიოსნად იხადეთო, იმის.....!!!!!! 9

# ბევრი კითხვა დაგროვილა თქვენთან, ბატონო ბიძინა, ძალიან ბევრი კითხვა... 4-5



## რატომ გამოჩნდა ლიად ბიძინა ივანიშვილი და ვის დასჯის „რუსთავი 2“-ის სკანდალის გამო?

## რა ხდება მერიის კულუარებში სკანდალური გადადგომების შემდეგ? 7

„ამ ეტაპზე სერიოზული ზეწოლა მიდის სამგორის გამგებელზე, მამუკა ჩოქურზე, რომ ამ ადამიანმა დატოვოს თანამდებობა... ასევე, ველოდებით საბურთალოს გამგებლის, ბექა მიქაუტაძის განთავისუფლებას... ამ ორის საქმე გაჩერებულია იმიტომ, რომ ორივე გამგებლის შეცვლას ერთად გეგმავენ. ეს იქნება უახლოს დღეებში. ცდილობენ, ისე გააკეთონ, რომ ამან ხმაური არ გამოიწვიოს“

## ზაზა ხატიაშვილი: „365 ადვოკატი დაჯდება პროკურატურასთან... მე დავიწყებ... სამწუხაროა, რომ ეს ხელისუფლება ბინძურად გარიგდა“ 12



რატომ გააგრძელეს 48-საათიანი ულტიმატუმის ვადა ადვოკატებმა?

# ე, ბიჭო, დროზე მიიღეთ პრემია-დანამატების ამკრძალავი კანონი, თორემ გამოხრეს ბიუჯეტი, თავზე ჩამოიმხვეს!!!

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია პრემიებს არ იღებს, რასაც ვერ ვიტყვით მის მოადგილეებზე. ოთარ დანელიას ხუთივე მოადგილე: ნოდარ კერესელიძე, იური ნოზაძე, დავით გალეგაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი, ლევან დავითაშვილი, პრემიებს იღებენ.

სანამ თითოეული მოადგილის თანამდებობრივ სარგოს, დანამატსა და პრემიების ოდენობაზე ვისაუბრებდეთ, მანამდე გადავხედოთ, რა წერია „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის №449 დადგენილებაში, რომელიც 2014 წლის 15 ივლისსაა მიღებული.



„პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობის წესი: 1. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს; 2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ; 3. პრემია შესაძლებელია გაიცეს, ასევე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით, ზემდგომი თანამდებობის პირის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობის საფუძველზე, – წერია მთავრობის დადგენილებაში.

როგორც ვხედავთ, პრემია კვარტალში ერთხელ და წელიწადში არაუმეტეს სამჯერ გაიცემა, თუ გამონაკლისებს არ დაუშვებენ უწყებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ამ უწყებაში გამონაკლისები არაერთხელ დაუშვეს და 10 თვის განმავლობაში (2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით) 5 თვეზე მინისტრის ხუთივე მოადგილეზე გასცეს პრემია – მთლიანობაში 39 904 ლარის ოდენობით. რაც შეეხება დანამატს, მას მინისტრის მოადგილეები ყოველ თვეში იღებენ. 10 თვის მანძილზე მათმა დანამატმა ერთად 137 695 ლარი შეადგინა. სულ კი პრემია-დანამატითურთ 177 599 ლარი აიღეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით გთავაზობთ, 2015 წელს ოთარ დანელიას მოადგილეების შრომითი ანაზღაურების შესახებ დეტალურ ინფორმაციას:

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე როგორც თანამდებობრივი სარგოს, ასევე, დანამატის სახით ყოველთვე იღებს ანაზღაურებას 2 950-2 950 ლარის ოდენობით. ანუ თვეში ის იღებს 5 900 ლარს. ამასთანავე, მან მარტში აიღო პრემია 2 950 ლარის ოდენობით, აპრილში – 1475 ლარი, ივლისში – 1770 ლარი, სექტემბერში – 1770 ლარი და ოქტომბერში – 1475 ლარი. ანუ 5 თვის მანძილზე მისმა აღებულმა პრემიამ შეადგინა 9 440 ლარი. გამოდის, 10 თვეში ნოდარ კერესელიძის თანამდებობრივი სარგო და დანამატი ერთად იყო 59 000 ლარი (აქედან დანამატი 29 500), ხოლო 5 თვეში აღებული პრემია – 9 440 ლარი. მთლიანად, 10 თვის განმავლობაში, იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, მინისტრის პირველმა მოადგილემ 68 440 ლარი აიღო. უფრო მეტი, ვიდრე თავად მინისტრმა ოთარ დანელიამ (მინისტრმა იმავე საანგარიშო პერიოდში ანაზღაურების სახით 62 500 ლარი აიღო).

მინისტრის მოადგილე იური ნოზაძეს თანამდებობრივი სარგო თვეში 2 720 აქვს და ამდენივე დანამატი. მანაც, ნოდარ კერესელიძის მსგავსად, 5 თვეში – მარტში, აპრილში, ივლისში, სექტემბერსა და ოქტომბერში აიღო პრემიები, სულ 7 616 ლარი. რაც შეეხება თანამდებობრივ სარგოსა და დანამატს, 10 თვის განმავლობაში იური ნოზაძემ აიღო 54 400 (აქედან დანამატი იყო 27 200 ლარი), ამას დამატებული 5 თვის პრემია – 7 616 ლარი. ანუ 2015 წელს იური ნოზაძემ, იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, მოადგილის პოსტზე მუშაობისას 62 016 ლარი აიღო.

მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილმა 10 თვის მანძილზე, იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, აიღო თანამდებობრივი სარგო და დანამატი (26 595 ლარი) ერთად 53 190 ლარი, ხოლო 5 თვის მანძილზე მის მიერ აღებულმა პრემიამ შეადგინა 7 616 ლარი. 2015 წელს 10 თვის განმავლობაში სულ მისმა სახელფასო ანაზღაურებამ 60 350 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილს, მას თანამდებობრივი სარგო აქვს 2 720 ლარი, დანამატიც ამდენივე. 10 თვის განმავლობაში აიღო 54 400 ლარი (აქედან დანამატი 27 200 ლარი), ამას დამატებული 5 თვის პრემია 7 616 ლარი. მთლიანობაში, 2015 წელს 10 თვეში მისმა სახელფასო ანაზღაურებამ 62 016 ლარი შეადგინა.

მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილსაც 10 თვის მანძილზე აღებული აქვს თანამდებობრივი სარგო და დანამატი 2 720-2 720 ლარის ოდენობით, სულ 54 400 ლარი (27 200 ლარი), ასევე, 5 თვის განმავლობაში პრემია 7 616 ლარი. მთლიანად მისმა სახელფასო ანაზღაურებამ, 2015 წელს იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, 62 016 ლარი შეადგინა.

ოთარ დანელიას მოადგილეების პრემიებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 39 904 ლარი 5 თვის განმავლობაში. 10 თვეში აღებულმა დანამატებმა მთლიანად 137 695 ლარი. ანუ პრემია-დანამატითურთ აიღეს 177 599 ლარი. სულ სოფლის მეურნეობის მინისტრის 5 მოადგილის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს 10 თვეში დაუჯდა თავისი პრემია-დანამატ-თანამდებობრივი სარგოთი 314 838 ლარი. (ipress.ge)

**ვაახ, რა მაგარია ჩინოვნიკობა, თუ ხედავთ თქვენ?!**

**არა, ის კი გვესმის, რომ ოჯახები ჰყავთ სარჩენი, იქ ბაღის გადასახადი, სკოლის, კომუნალურები, ნათესავ-მეგობართა დაბადების დღეები, დასვენება მთაში, ბარში, ზღვაზე, მთლად უკეთესი — საზღვარგარეთ და რა უნდა ქნან, ფული ხომ სჭირდებათ, კაცო?**

**კი სჭირდებათ, როგორ არა, ფული ყველას სჭირდება, მაგრამ ხალხის ხარჯზე, ამის დედაც ვატირე? ჩვენს ხარჯზე? გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე?**

**„ალია“ უმრავლესობის წევრ ზაქარია ქუცნაშვილს დაუკავშირდა, რომლის ინიციატივითაც მომზადებულია კანონპროექტი ჩინოვნიკებისთვის პრემია-დანამატების აღების აკრძალვის შესახებ:**

**— ბატონო ზაქარია, რა ეტაპზეა თქვენი კანონპროექტი, როდის უნდა დამტკიცდეს? ვეღარ უძლებს ქვეყნის ბიუჯეტი ამდენ პრემიასა და დანამატს. აგერ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეების პრემიების კაი გემრიელი მონაცემები გავრცელდა და...**

— კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე დამტკიცებულია.

**— როგორც მახსოვს, კაი ხანია, რაც თქვენ ეს კანონპროექტი მოამზადეთ და რატომ აქამდე ვერ მოხერხდა მისი მიღება?**

— კი, კანონპროექტი ზაფხულში მოვამზადე, თუმცა მერე საპროცედუროემ გააჭიანურა პროცესი. შემდეგ მანანა კობახიძისგან, დიმიტრი ხუნდაძისგან იყო შენიშვნები, რომ პრემიების გაცემაზე აკრძალვა გაგრძელებულიყო 2017 წლის 1-ელ იანვრამდე, ნაცვლად 2016 წლის 1-ლი იანვრისა.

**— და როდის მოხდება დამტკიცება?**

**— ვფიქრობ, ამ თვეში, დიახ, ნოემბერში კანონი დამტკიცდება.**

**P.S. ჰოდა, იმედია, ცოტას მაინც ამოისუნთქავს ბიუჯეტი, კაცო, თუმცა გამოგიტყდებით და ვფიქრობთ, აკრძალვის პერიოდი უფრო ხანგრძლივი რომ იყოს, უკეთეს შედეგებს მივიღებდით - აბა, მხოლოდ ხალხმა შემოიჭიროს ქამრები? ეგრე სად არის?!**



## კი გამყარდა, მაგრამ 2,39-ს მაინც ვერ ჩამოცდა




ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 11 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3971 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც 10 ნოემბერს მოქმედებდა, 2,3990 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0019 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5745 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5861 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0116 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ნახეთ, ერთი რას ამბობს: „სახელმწიფოს შემქმნელს მოქალაქეობა ჩამოართვა, ეს ღორობაა“



მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა უსამართლობაა.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ტელეარხ „112 უკრაინას“ ეთერში განაცხადა. ჟურნალისტის კითხვაზე, რომ უკრაინის კანონების შესაბამისად, ჩინოვნიკს მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეობა უნდა ჰქონდეს, ოდესის გუბერნატორმა განაცხადა, რომ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიერ მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა მხოლოდ პოლიტიკური აქტია.

– ეს, უბრალოდ, უსამართლობაა. მე ჩემს მეგობრებთან ერთად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ყველაზე ეფექტური სახელმწიფო შევქმენი. სიმართლე გითხრათ, სახელმწიფოს შემქმნელს ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოართვა, ღორობაა. არსებობს პროცედურები, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ როგორც პოლიტიკურ აქტს. მათ ძალიან ეშინიათ ჩემი, რადგან ხალხმა გაილვიძა საქართველოში და ახლა მოსახლეობა მთლიანად სწორ მიმართულებას ადგას, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეჩერების პროცედურები დაიწყო. (pia.ge)

**ღორობაა, კი, ჩამორჩენილობა და კვერცხობაც, აქამდე რომ არ ჩამოგერთვა მოქალაქეობა, „გალუბჩიკ“!**

**რაო, შენ გამო კანონებს გადავახტეთ, კონსტიტუცია გადავდოთ გვერდზე? არა, ამას თავადაც წარმატებით ახერხებდი და არც ესენი აკლებენ, მაგრამ თანამდებობის გამო რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარს იტყვი, მაგას ღორობა, მამაძაღლობა და ჩათლახობა არ ჰქვია?!**



## რა ეპარლამენტებათ, ტელევიზიას ართმევენ...



„ნაციონალური მოძრაობა“ მომავალ კვირას პარლამენტში სესიებს არ დაესწრება. ამის შესახებ პარტიის წევრმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა. აღნიშნულის მიზეზად ის „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებს ასახელებს.

– მნიშვნელოვანი საკითხებია ქვეყნის წინაშე, მნიშვნელოვანი საკითხებია პარლამენტში განსახილველი, მათ შორის ჩვენ გვაქვს საკითხი პენსიის ზრდისა 50 ლარით და მთავრობისთვის ფუფუნების მოკლებისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სასაუბროა. თუმცა ამ წუთში და ახლა ქვეყანაში დემოკრატიის მომავალი განვითარების, სამართლიანი არჩევნების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდება აქ, „რუსთავი 2“-თან. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება სასესიო კვირაში არ მივიდეთ პარლამენტში და გვერდში დავუდგეთ „რუსთავი 2“-ს, – აცხადებს გოკა გაბაშვილი. (ნიუპოსტი)

## სად გაუჩინარდა დიმა ობოლაძე? — „ნებისმიერი მფლობელის პირობებში ვიმუშავებ“

ტელეწამყვანი დიმიტრი ობოლაძე უკვე რამდენიმე დღეა „რუსთავი 2“-ის ეთერში აღარ ჩანს. მას 22 ოქტომბრიდან არ წაუყვანია „კურიერის“ სპორტული ბლოკი და არც გადაცემა „სხვა შუადღეში“ გამოჩენილა, რომლის ერთ-ერთი თანაწამყვანი გახლავთ.




გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის ირგვლივ არსებულ დავასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულების გამო, მას არხი დაატოვებინეს.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით დიმა ობოლაძეს დავუკავშირდით. ის სამსახურიდან განთავისუფლებას არ ადასტურებს და ამბობს, რომ ეთერში ჯანმრთელობის პრობლემების გამო აღარ ზის. ობოლაძე აღნიშნავს, რომ ტელეკომპანიის დატოვებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება სამართლებრივი დავა.

– 22 ოქტომბრიდან ნამდვილად არ ვარ ეთერში. ფეხზე ოპერაცია გავიკეთე და მთელი ეს დღეები სახლში ვარ. ახლაც ხელჯოხით მოვედი ცოტა ხნით სამსახურში და ისევ მივდივარ. ერთი რამ მინდა გარკვევით ვთქვა: მე ამ ტელეკომპანიაში უკვე 20 წელია ვმუშაობ და სანამ „რუსთავი 2“ იარსებებს, არსად წასვლას არ ვაპირებ. მე დავრჩები ამ არხზე და ნებისმიერი მფლობელის პირობებში გავაგრძელებ ჩემს საქმეს, – ამბობს დიმა ობოლაძე. (primetimenews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით სერგეენკო იმ პოლიტიკოსთა შორის მოხვდა, რომლებმაც ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი გადაარჩინეს



**Аргументы и Факты** საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს მიერ დაზარალებულისთვის აღმოჩენილ პირველადი დახმარების ფაქტს იხსენებს.

სტატიაში – „ისტორიები პოლიტიკოსებზე, რომლებმაც პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს", ფაქტებს იმ პოლიტიკოსების შესახებ აქვეყნებს, რომელთაც ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის გადარჩენა მოუხდათ.

სტატიის მიხედვით, ურუგვაის პრეზიდენტმა ტაბარე ვასკესმა სიკვდილს გადაარჩინა ალერგიის მსხვერპლი, ახალგაზრდა ქალი საფრანგეთიდან. 26 ოქტომბერს პრეზიდენტი ტრანსატლანტიკური რეისით მიემგზავრებოდა საფრანგეთში, სადაც მას მოლაპარაკებებში უნდა მიეღო მონაწილეობა. იმავე რეისით 17 წლის ფრანგი გოგონა შინ ბრუნდებოდა ბუენოს-აირესიდან, სადაც ჰოკეის ტურნირში მონაწილეობდა. ფრენის დროს გოგონამ საუზმე მიირთვა, რომელიც არაქისს შეიცავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მას ძლიერი ალერგიული რეაქცია დაეწყო და სუნთქვა შეწყვიტა.

დაზარალებულთან პირველები პრეზიდენტი ვასკესი და მისი პირადი ექიმი მარიო სელარაიანი მივიდნენ. ოპერატიულად მიღებული ზომების წყალობით გოგონას მდგომარეობა სტაბილური გახდა.

სტატიის ცნობით, 75 წლის ტაბარე ვასკესი პროფესიით ექიმია. ურუგვაის პრეზიდენტს ავიაგადაფრენების დროს პროფესიული უნარების გამოყენება მესამედ დასჭირდა.

სტატიაში, ასევე, მოთხრობილია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს შესახებ, რომელმაც უსახლკარო ჰალსტუხის მეშვეობით გადაარჩინა. სტატიაში ნათქვამია, რომ 2013 წელს ექსტრემალურ სიტუაციაში თავისი ქმედითუნარიანობის დამტკიცება მოუწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს. მინისტრი ავიაშოუზე მიემგზავრებოდა, როცა თბილისის ცენტრში მდებარე გამზირზე მოწმე გახდა, როგორ დაეჯახა ავტომანქანა ნასვამ ფეხით მოსიარულეს. მინისტრის რეაქცია მყისიერი იყო. მან გააჩერა ავტომანქანა, დაუყოვნებლივ გაეშურა დაზარალებულისკენ და პირველი დახმარება აღმოუჩინა. ადგილზე მისულმა „სასწრაფო დახმარებამ" დაშავებული წაიყვანა, რომელიც უსახლკარო დენის ახმედოვი აღმოჩნდა.

– ექიმებმა ნახეს, რომ ვიღაცამ სწორად შეაჩერა სისხლდენა ფეხზე და გადასახვევ მასალად ჰალსტუხი გამოიყენა. იმის შესახებ, რომ პირველადი დახმარება დაზარალებულს მინისტრმა აღმოუჩინა, „სასწრაფო დახმარების" ექიმებმა მოგვიანებით შეიტყეს. დაზარალებულს წარმატებული ოპერაცია გაუკეთეს და მისი სიცოცხლე გადაარჩინეს. ხოლო პრესტიჟული მარკის დიზაინერული ჰალსტუხი, რომელიც ქართველ ჯანდაცვის მინისტრს არ დანანებია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ჩარჩოში მოათავსეს და თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში საპატიო ადგილზე განათავსეს, – აღნიშნულია სტატიაში.

**Аргументы и Факты**-ს სტატიაში ასევე საუბარია ჰოლივუდის ვარსკვლავ არნოლდ შვარცენეგერზეც, რომელმაც თავისი კინემატოგრაფიული კარიერის მანძილზე ადამიანები ასეულობით შემთხვევაში გადაარჩინა. პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ, როდესაც კალიფორნიის გუბერნატორი გახდა, მან დაამტკიცა, რომ რეალურ ცხოვრებაშიც მზად არის, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს დაეხმაროს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი 2016 წლის ოლიმპიადიდან შესაძლოა, მოხსნან



რუსი სპორტსმენები 2016 წლის ოლიმპიადიდან დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების გამო შესაძლოა, მოხსნან, ამის შესახებ ინფორმაციას CNN ავრცელებს.

მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს ყოფილი პრეზიდენტის, დიკ ფაუნდის განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ რუს სპორტსმენებს „ღალატის კულტურა ფესვებივით აქვთ გამჯდარი ყველა დონეზე"

ანგარიშში ნათქვამია, რომ მიუხედავად მსოფლიოს ანტიდოპინგ სააგენტოს თხოვნისა, მოსკოვის ლაბორატორიამ 1400-ზე მეტი ეგზემპლარი „განზრახ, შეგნებულად" გაანადგურა.

ანგარიშში ასევე აკრიტიკებენ ათლეტთა ფედერაციის საერთაშორისო ასოციაციის „აუხსნელ ჩაურევლობის პოლიტიკას". სპორტის მმართველი ორგანოს რჩევით, 5 სპორტსმენი და 5 მწვრთნელი, ყველა რუსეთიდან, სამუდამოდ უნდა დაისაჯონ.

რუსეთის ანტიდოპინგის სააგენტოს დირექტორის, ნიკიტა კამაევის განცხადებით, მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს ანგარიში „არაპროფესიონალური, არალეგალური და დეკლარაციულია".

– რუსეთმა ყველა შესაძლო ხერხი იხმარა იმისთვის, რომ აღმოეფხვრა დოპინგის პრობლემები. მოსკოვის ანტიდოპინგ ლაბორატორია აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, – განაცხადა რუსეთის სპორტის მინისტრმა ვიტალი მუტკომ.

ფაუნდის ანგარიშის დეტალებში წერია: „კორუფცია და მექრთამეობის პრაქტიკა უმაღლეს დონეზეა განვითარებული საერთაშორისო ათლეტებში". მტკიცებულება, უკვე გადაეცა დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციას და ინტერპოლის მომავალში გამოძიებს.

მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს ყოფილი პრეზიდენტის, დიკ ფაუნდის ანგარიშის შედეგად, 2016 წლის რიოს ოლიმპიადაზე რუსეთი შესაძლოა, საერთოდ მოიხსნას.

– ჩვენი რეკომენდაციით, 2016 წლის ოლიმპიადისთვის რუსეთის ფედერაცია საერთოდ უნდა მოიხსნას. იმედი გვაქვს, რომ რუსეთი თავად ნებით მიიღებს შემოთავაზებას, რითაც შეეძლებათ, აუცილებელი აღდგენითი სამუშაოების გავლა. თუ არ დასთანხმდებიან, რეზულტატი იქნება ის, რომ რიოს ოლიმპიადა ჩაივლის რუსი სპორტსმენების გარეშე. ჩვენი მიზანი არ არის ადამიანების ოლიმპიადიდან მოხსნა, – განაცხადა ფაუნდმა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირმა ინაშვილი: „რა შუაშია რუსეთი ან მექსიკა, როცა მე ხიდაშელსა და აგულაშვილს არჩევნების გაყალბებაზე ველაპარაკები?!"



„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ირმა ინაშვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს პასუხობს. ინაშვილი ამბობს, რომ რუსეთის აგენტები და სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირები რესპუბლიკურმა პარტიამ საკუთარ რიგებში ეძებოს.

– „რესპუბლიკურ პარტიას" და ქალბატონ თინა ხიდაშელს მინდა შევახსენო, რომ რამდენიმე წლის წინათ გავრცელდა სატელეფონო საუბარი ლევან ბერძენიშვილსა და რუსეთის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს შორის, სადაც ლევან ბერძენიშვილი რუსეთის საელჩოს ამ თანამშრომელს სხვადასხვა მისი გეგმებისა და საქმიანობის შესახებ პატაკს აბარებდა და ელაქუცებოდა. რუსეთის საელჩოს ეს თანამშრომელი დაზვერვას კურირებდა. ანუ ვინ ურთიერთობდა რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებთან? – ბატონი ლევან ბერძენიშვილი. ბატონი დავით ბერძენიშვილი სად მსახურობდა ჯარში? – მოსკოვთან ახლოს. ხომ შემიძლია ვივარაუდო, რომ ბატონი დავითი ჯერ კიდევ მაშინ ამყარებდა ურთიერთობებს რუსეთის სპეცსამსახურებთან? როდის შევიდა კომუნისტურ პარტიაში? – როცა იშლებოდა. ბატონი სოზარ სუბარი იყო ის პოლიტიკოსი, რომელმაც „კავკასიის" პირდაპირ ეთერში ბატონ დავით უსუფაშვილს საჯაროდ უთხრა, რომ უსუფაშვილი ესაუბრებოდა რუსებს საარჩევნოდ ფულის მიღებასთან დაკავშირებით. ამიტომ რუსეთის აგენტები, სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირები „რესპუბლიკურმა პარტიამ" ეძებოს საკუთარ რიგებში. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, რაც დავასახელე, სულაც არ გამიკვირდება, რომ ქალბატონი თავდაცვის მინისტრი ამ პოსტზე რუსეთის დავალებებს ასრულებდეს და რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდეს. სულ არ გამოვრიცხავ ამას, მაგრამ რა შუაშია რუსეთი ან მექსიკა, როცა მე ხიდაშელსა და აგულაშვილს არჩევნების გაყალბებაზე ველაპარაკები?! ისინი არიან არჩევნების გამყალბებლები და ამაზე ილაპარაკონ, რუსეთზე, მექსიკასა თუ იაპონიაზე კი არა, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

თინა ხიდაშელმა „პატრიოტთა ალიანსის" მოთხოვნასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

– მე ვიცი, რომ პირველი დღიდან, რაც მე თავდაცვის მინისტრი გავხდი, რუსებს საქართველოში პრობლემა აქვთ ჩემს თავდაცვის მინისტრობასთან, ამიტომ ვერაფერს განსაკუთრებულსა და ახალს ვერ ვხედავ ამაში, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნიკა გვარამია: „ნაძირალობასა და ორპირობას არ ჰქონია საზღვარი და ამას არც ინტელექტი არ შველის. ყოჩაღ, სანდრო ლორთქიფანიძე"





ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში „ჯიდიეს"-ის გადაცემა „არაკორექტულ შოუში" გასულ ხუმრობას ეხმაურება, რომელიც „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებს ეძღვნება.

წამყვანის თქმით, არხის ჟურნალისტებმა, რომლებსაც „მამა და მარჩენალის მოლოდინში ამაოდ მყოფებს" უწოდებს, აქციით თვითგადარჩენის ინსტინქტს მიმართეს და ბანერებზე დააწერეს, რატომ დგანან „რუსთავი 2"-ის გვერდით: „იმიტომ, რომ ხალხის რჩეულია", „იმიტომ, რომ მინდა სიტყვის თავისუფლება", „იმიტომ, რომ მე ვერ დამაყადაღებთ". „არაკორექტულმა შოუმ" მოამზადა ამ აქციის თავისებური ვერსია შემდეგი წარწერებით: „იმიტომ, რომ მინდა ვანოს თავისუფლება", „იმიტომ, რომ მომკლავს ის შობელძაღლი", „იმიტომ, რომ 7 ნოემბერი და 26 მაისი"......

– ამ ნაძირალობის ერთ-ერთი თანაავტორი დიდი ხანი იჯდა დღეს „სხვა შუადღეში" და ბედნიერად ხალისობდა იმაზე, როგორ დააქორწინა ეთერში ჩვენსავე არხმა. ნაძირალობასა და ორპირობას არ ჰქონია საზღვარი და ამას არც ინტელექტი არ შველის. ყოჩაღ, სანდრო ლორთქიფანიძე. ოღონდ ჩე კი არა, რამე კონფორმისტული დაირქვი, დაგამშვენებს. და ფეხის მოდგმა არ გაბედო, სანამ არ გაემიჯნები ამ უმსგავსობას და საჯაროდ ბოდიშს არ მოუხდი „რ2"-ის ჟურნალისტებს! – წერს „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე ნიკა გვარამია და მიმართავს ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, რომელსაც მცირე ხნის წინ გადაცემა „რა? სად? როდის?" მიმდინარეობისას, გიორგი მოსიძემ სიურპრიზი მოამზადებინა რჩეულისთვის, სანდრომ თანაგუნდელ ანი მარდალეიშვილს ხელი სთხოვა. როგორც ჩანს, სწორედ ამაზე სასაუბროდ იყო მისული „რუსთავი 2"-ზე, თუმცა, გვარამიას თქმით, ამავე არხის ჟურნალისტებზე მომზადებული სიუჟეტის ავტორია.

რასაკვირველია, დავუკავშირდით სანდრო ლორთქიფანიძეს, თუმცა მან განგვიცხადა, რომ ამ თემას უკომენტაროდ დატოვებს. (fortuna.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჰმ, ევროპელებს რომ ჰკითხო, საქართველოზე გიჟდებიან...




საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში მოხვდა, რომლის გარკვეულ ტერიტორიებზე მოგზაურობისგან თავშეკავებას ურჩევს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სტატისტიკური პორტალ „სტატისტას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანული უწყება ასევე სახიფათოდ მიიჩნევს რუსეთის იმ ტერიტორიებზე მოგზაურობას, რომელიც აზერბაიჯანს, უკრაინასა და ჩეჩნეთს ესაზღვრება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ბრიტანელმა ტურისტებმა თავი უნდა შეიკავონ რამდენიმე ქვეყანაში მოგზაურობისგან და ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ „ისლამურ სახელმწიფოს" ასახელებს.

ქვეყნები, რომელშიც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი ქვეყნის მოქალაქეებს მოგზაურობას არ ურჩევს: ავღანეთი, ბურუნდი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გვინეა, ერაყი, ლიბია, მავრიტანია, ნიგერია, პალესტინის ტერიტორიები, სიერა ლეონე, სომალი, სამხრეთ სუდანი, სირია, ტუნისი, იემენი.

ქვეყნები, რომელთა გარკვეულ ტერიტორიაზე მოგზაურობისგან დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყება თავის მოქალაქეებს თავშეკავებას ურჩევს: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ალჟირი, ანგოლა, ბანგლადეში, ბურკინა ფასო, ბირმა, კამბოჯა, კამერუნი, კოლუმბია, ჯიბუტი, ეკვადორი, ეგვიპტე, ერითრეა, ეთიოპია, ჰაიტი, ინდოეთი, ირანი, ისრაელი, კოტ-დივუარი, იაპონია, იორდანია, კენია, კოსოვო, ლიბანი, მადაგასკარი, მალაიზია, მალი, ნეპალი, ნიგერია, პაკისტანი, ფილიპინები, კონგო, საუდის არაბეთი, სუდანი, ტაჯიკეთი, ტაილანდი, თურქეთი, უგანდა, ვენესუელა, დასავლეთ საჰარა. (bpn.ge)

**ალჟირის, ბირმას, უგანდასა და ეგეთების გვერდით ბებიათქვენი მიათვალეთ, ეს ერთი და მეორე — რატომ გვილახავს პრესტიჟს ქვეყანა, რომელიც ტერორისტების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სამიზნეა აგერ უკვე რამდენი წელია?!**





# ბევრი კითხვა დაგროვილა თქვენთან, ბატონო ბიძინა, ძალიან ბევრი კითხვა...



**დღის მთავარ თემად იქცა ბიძინა ივანიშვილის კომენტარები საკმაოდ ბევრ საკითხზე და ატყდა ერთი ამბავი — ყოფილმა პრემიერმა ეს თქვა, ყოფილმა პრემიერმა ის თქვა.**

**მოკლედ, ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტებმა ერთ-ერთ ღონისძიებაზე „გამოიჭირეს“ და „დაბომბეს“ კიდეც კითხვებით.**

**ბუნებრივია, ყოფილ პრემიერს ერთ-ერთი მთავარი კითხვა „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ დაუსვეს, რაზეც მან ასეთი პასუხი გასცა:**

– შექმნილი სიტუაცია არ არის მთავრობისთვის ხელსაყრელი, ეს არის ხელსაყრელი სწორედ „ნაციონალური მოძრაობისთვის“. როგორ აწიეს თემა, ნახეთ. ოსტატები არიან. განა არ ვიცოდი, რომ ამას იზამდნენ? ეს რომ ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული, მე მაგის ჭკუა მეყოფოდა, რომ საერთოდ არ შევხებოდი „რუსთავი 2“-ს და მერე ეს დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შეგვეყვანა. მე ამის ჭკუა მეყოფოდა. რა მოჰყვებოდა ამას, ძალიან იოლი დასანახი იყო – „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა ხომ კარგად ვიცით, მაგრამ ამავდროულად რა ვუყოთ დვალს, აქიმიძესა და ხალვაშს? მათ აქვთ კანონიერი უფლება, იდავონ იმაზე, რაც წაართვეს. ნამდვილად მეყოფოდა ჭკუა, რომ ასეთი კოზირი არ გადამეგდო „ნაციონალებისთვის“. კოზირში ვგულისხმობ განსაკუთრებით ზეპირი მოსმენის გარეშე მმართველის დანიშვნას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პოლიტიკურად, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება წამგებიანი იყო, მაგრამ სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ ურთმელიძემ კანონი დაარღვია. თუ ვინმეს არ მოსწონს ურთმელიძის გადაწყვეტილება და პოლიტიკურად ეს ჩვენ ნამდვილად გვაზიანებს, ამისთვის არსებობს ისევ სასამართლო, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

**კი, ბატონო ბიძინა, თამაზ ურთმელიძე რომ ვიღაცის დაკრულზე ცეკვავს, ამაზე დიდი ხნის წინ გაგვიჩნდა ეჭვები და ბევრი კითხვაც, თუმცა რა გინდა, რომ ქნა — აგერ, თავადაც გაქვთ ურთმელიძესთან კითხვები და გგონიათ, გიპასუხებთ? უხ, მეტი არაა ჩემი მტერი!**

– კითხვები არსებობს ჩემი მხრიდანაც. მაგრამ ამ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს სასამართლომ. კითხვებია – უნდა შეეყვანა თუ არა მმართველი საბოლოო გადაწყვეტილებამდე და ასე შემდეგ... თუმცა, ვერც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და ვერც თქვენ ვერ მეტყვით, რომ ურთმელიძემ კონსტიტუცია დაარღვია და კანონის ფარგლებს გასცდა. საზღვარგარეთ ამის პრაქტიკა არის გაცილებით მეტი, ვიდრე საქართველოში. ამიტომაც, თუ არ მოგვწონს და ეჭვი გვაქვს ურთმელიძის გადაწყვეტილებაზე, რომ პირველივე ინსტანციაში, ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, ამაზე პასუხი უნდა გასცეს ისევ და ისევ სასამართლომ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**კარგით, ჩვენ, ხალხი, დავიცავთ კანონს, მაგრამ ჩინოვნიკებს რომ ვუყურებთ, ამის სურვილი არ გვაქვს და რა წყალში გადავვარდეთ, კაცო?! თუ ჩვენ უნდა ვემორჩილებოდეთ კანონებსა და სახელმწიფოს მოთხოვნებს, ჩინოვნიკები რატომ უნდა იყვნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში? თუნდაც პრეზიდენტი ავიღოთ! რა, თავად არ ხართ უკმაყოფილო მარგველაშვილის გაჯიუტებით — არ გამოვალ ავლაბრის რეზიდენციიდანო?!**

– მთავარი, რასაც მე ვხედავ, არის ის, რომ ყველამ უნდა დაიცვას კანონი, პატივი სცეს ქართულ სახელმწიფოს და პირველ რიგში, პრეზიდენტმა. კომერციული ნაწილიც უნდა შეფასდეს, 10 მილიონს გადასცდა და ამბობს, რომ მოქალაქეების დასაცავად აკეთებს. აქაც ცინიზმის ძალიან მაღალი დონეა. რა თქმა უნდა, ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება, მას ეს სურს თუ არ სურს. სახელმწიფო სახელმწიფო უნდა იყოს და სტრუქტურებმა უნდა განახორციელონ თავისი უფლებამოსილება. თავის დროზე მთავრობამ განაცხადა, რომ კანონიერი ქმედებისგან თავს შეიკავებს. დადგება ეგ დროც, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**ვაა, გამოასახლებთ, კაცო? პრეზიდენტს? მერე ამერიკა და დასავლეთი ღერა-ღერა რომ დაიპუტავს, მაგაზე არ უნდა ვიფიქროთ? თანაც, „რუსთავი 2“-ის გარშემო ისეთი შეშფოთებულები არიან, ნამეტანი ღელავენ და კიდევ უნდა მივცეთ დამატებითი საბაბი?**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევთ ამერიკის შეერთებული შტატების შეშფოთებას. ის არის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და ყველანაირად ვცდილობთ, დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში. მე ვფიქრობ, შეშფოთება არის გადაჭარბებული. საფუძველი ამის კი გახლავთ ისევ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 9 წლის განმავლობაში ახერხებდა უამრავი მეგობრის შეძენას, თავისი ხელწერის – დიქტატურის ნაცვლად დემოკრატიად გაფორმებას და ა.შ. მე ამას გულწრფელად ვიღებ ყურადღებით. ვალდებულადაც კი ვთვლი თავს და დღევანდელ ხელისუფლებასაც, ვფიქრობ, იგივე ვალდებულება აქვს, რომ ჩვენ ყველა კითხვას ვუპასუხოთ. ვუპასუხებთ კიდეც და ვაჩვენებთ რეალობას, რომ არაფერიც არ ხდება, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

**კაააარგი, ვთქვათ „აშუშუ“ დავარწმუნეთ, ევროპაც, მაგრამ აქაური არასამთავრობო სექტორიც რომ შფოთავს და ღელავს? აგერ, „რუსთავი 2“-ის შენობასთან 24-საათიანი მორიგეობა დააწესეს — მაჯლაჯუნები უნდა განდევნონ და ჭინკები ღამღამობით...**

– არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არასამთავრობოდ წარმოგვიდგა და როგორც იქნა, ახლა პოლიტიკაში თავის რეალურ სახეს გვაჩვენებს, „ნაციონალური მოძრაობის“ გაგრძელებაა. საუბედუროდ, ისინი ძალიან აბინძურებენ სამოქალაქო საზოგადოებას. კარგი იქნება, დანარჩენი ნაწილიც, სამოქალაქო საზოგადოებას რომ უწოდებს თავის თავს და რეალურად „ნაციონალური მოძრაობის“ სტრუქტურის ნაწილია, თუ თავადაც დაარქმევენ თავის თავს სახელს, როგორც გიგაურმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, – ამბობს ივანიშვილი.

**კარგით, არასამთავრობო ორგანიზაციები იქით იყვნენ, მაგრამ ლარის განადგურებამ რომ საშინელ დღეში ჩაგვაგდო და ვერც ეროვნული ბანკი და ვერც მთავრობა ხეირიანს ვერაფერს ახერხებს, ამ საკითხს რა ჯანდაბა ვუქნათ?**

– დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდება და ამ თემასაც თავიდან ნუ ავწევთ. ის, რომ ასეთი დევალვაცია მოხდა და კრედიტორები ძალიან მძიმე დღეში არიან, ამაზე ფიქრობს ხელისუფლება და ვფიქრობ მეც. მე არ გამოვრიცხავ, რომ პირადი დახმარება აღმოვუჩინო, მაგრამ, რომ არ მოხდეს ბიზნესში რამე მკვეთრი გადანაწილება და არ მოხდეს ბანკროტი, ამ თემებზეც ვმსჯელობ. ზოგადად, ძალიან მაწუხებს ეს თემა, ვისაც ჰქონდა კრედიტი აღებული და თავის დროზე ლარის კურსი იყო 2-ზე ქვემოთ და დღეს არის 2,40-თან ახლოს, თითქმის 30 პროცენტით გაუძვირდათ მათ ეს კრედიტების მომსახურება. მე ამ თემებზეც ვმსჯელობ, თუ გნებავთ. ქუმსიშვილს გუშინაც შევხვდი და ამ თემებზეც მქონდა საუბარი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**ძალიან უჭირს ხალხს, ბატონო ყოფილო პრემიერო, ძალიან, თან ეს არჩევნების თემა და შიმშილობის აქციები. მოკლედ, ათასი პრობლემაა, კაცო, არ არის ქვეყანაში კარგად საქმე, ჰკითხეთ ეს რიგით მოქალაქეებს და არა ქუმსიშვილს. გნებავთ, ირმა ინაშვილს ჰკითხეთ, რა ხდებოდა და ხდება საგარეჯოში.**

– მინდა, მივულოცო ინაშვილს, რომ კოალიციას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩემთვის მოულოდნელი იყო, რეალურად თანაბარი ბრძოლა დააფიქსირეს. სამწუხაროა განცხადებები, რომ არჩევნები გაყალბდა. ესეც აზარალებს დღევანდელ ხელისუფლებას. კარგი იქნებოდა, დაკონკრეტებულიყვნენ, ტერმინი „გაყალბებული არჩევნები“ მიუღებელია. მოპარული არჩევნები არ ყოფილა, ჩუმად არავის არაფერი უკადრებია. მათ რიცხვში, მე, რაც შემეძლო თვალს ვადევნებდი. კონკრეტული კითხვები, რაც არსებობს, გასაჩივრებულია. ქართველები მაქსიმალისტები ვართ, ყველაფრის კულმინაციაში აყვანა გვინდა. მინდა, ვთხოვო ინაშვილს, ამ უკიდურეს ფორმაზე, შიმშილობაზე იქნებ უარი თქვას. ყველა დანარჩენმა პარტიამ ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, რადგან მსგავს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ კოალიციას. „პატრიოტთა ალიანსმა“ ბოიკოტი რომ არ გამოაცხადა, ეჭვები ჰქონდათ, რომ ხელისუფლებას ეთამაშებოდნენ. თურმე, ასე არ ყოფილა, მათ რეალური წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლებას და ნახეთ, რა დღეში ჰყავს ხელისუფლება დღეს ამ პარტიას, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**უი, კინაღამ დაგვავიწყდა, ეს გოგი თოფაძე და თამაზ მეჭიაური რომ ბურდავენ ხოლმე და უცნაურ განცხადებებს აკეთებენ, შეიძლება ასე, ეს ოხერი? გადარიეს ხალხი და კიდევ გადარევა გვინდა, ისედაც იმდენი კითხვაა პასუხგაუცემელი — ეს „გაზპრომიო“, ის ალიევია გადარეულიო...**

– მე დღესაც დიდ პატივს ვცემ მეჭიაურსაც და გოგი თოფაძესაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბევრი განცხადება არ მომწონს და არ იმსახურებს მოწონებას. მე დღეს კიდევ ერთხელ მოვუწოდებდი მათაც და ჩვენი პარლამენტის სხვა წევრებსაც, რომ უფრო თავშეკავებულები იყვნენ. ნაკლები ემოცია და მეტი კორექტულობა მართებთ მათ, რამეთუ ისინი საქართველოს წარმოადგენენ, – განაცხადა ივანიშვილმა.

**და „გაზპრომის“ თემა, ბატონო ყოფილო პრემიერო, რაო, ალიევმა, მეწყინა რუსულ გაზზე რომ ჩალიჩობს კალაძეო?**

– უფრო საინტერესო საუბარი გვქონდა მე და ბატონ ალიევს, ვიდრე „გაზპრომია“. ეს თემა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერაა აგორებული. ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა და მეგობრული საუბარი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**„ალია“**

# რატომ გამოჩნდა ლიად ბიძინა ივანიშვილი და ვის დასჯის „რუსთავი 2“-ის სკანდალის გამო?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი აქტიურ მოქმედებაში მოდის. ის არაერთ საჯარო ღონისძიებას დასწრებია ბოლო ხანს, მაგრამ ჟურნალისტების შეკითხვებს გაურბოდა. მაშინ, რა მოხდა ახლა? როგორც ჩანს, „რუსთავი 2“-ის სკანდალმა ხელისუფლება დეპოში შეიყვანა. ამ თემის ირგვლივ განვითარებული მოვლენებით ივანიშვილი კმაყოფილი არ არის: „ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი „რუსთავი 2“-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა. პოლიტიკურად მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებები მთავრობას აზიანებს, თუმცა სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ მან კანონი დაარღვია....“

**აშკარაა, რომ ვიღაცას სიკვდილის ბუზი დააჯდა და მსხვერპლშეწირვას ვიხილავთ, როგორც ჩანს, ვიღაცებმა თვითინიციატივა გამოიჩინეს და ივანიშვილის გულისმოსაგებად გადაამლაშეს პროცესებში.**

10 ნოემბერს, ექსპრემიერმა ფაქტობრივად, უახლესი პოლიტიკური გეგმის მონახაზი შესთავაზა საზოგადოებას. ივანიშვილი კიდევ ერთხელ აფრთხილებს პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომ მისი ცინიზმის ძალიან მაღალ დონეს დაასრულებს და ის აუცილებლად დატოვებს ავლაბრის რეზიდენციას, მას ეს სურს თუ არა. საინტერესოა, რა მეთოდით გამოასახლებენ პრეზიდენტს ავლაბრის რეზიდენციიდან, რა სამართლებრივი ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ მარგველაშვილს იძულებით დაატოვებინებენ რეზიდენციას?

**ბატონმა ბიძინამ უნდა იცოდეს, რომ უფრო დიდი სკანდალის თემა გახდება პრეზიდენტ მარგველაშვილის იძულებით გამოსახლება ავლაბრის რეზიდენციიდან, ვიდრე ეს არის „რუსთავი 2“-ის საქმე.**

ივანიშვილმა თავის დროზე განმარტა, რომ ნოემბერში პრეზიდენტს ნიღაბს ჩამოხსნიდა. სკანდალური აუდიო და ვიდეოჩანაწერების გავრცელების შემდეგ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ არსებობს აუდიოჩანაწერი მიხეილ სააკაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის. შესაძლოა, ივანიშვილი ამ ჩანაწერსაც გულისხმობს, რაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ ნეგატიურად განაწყობს მარგველაშვილის წინააღმდეგ. თუმცა ეს მხოლოდ ვერსიებია და ასეთი ტიპის ჩანაწერი რომც გამოჩნდეს, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ეს კიდევ ერთი მიზეზი იქნება, რომ თავს დაესხნენ ხელისუფლებას.

საერთაშორისო საზოგადოების გასაგონად ივანიშვილმა განმარტა: უამრავი უმეცარი განცხადება აქვს გაკეთებული ევროსაბჭოს, ეუთოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობამ მათი განცხადებები ყურად არ იღოს. მოკლედ, ასეა თუ ისეა, ყველაფერი რიგზე არ არის და ივანიშვილის გააქტიურებაც ამას მოწმობს.

იურისტი ვალერი გელბახიანი იყო ის ერთადერთი ანალიტიკოსი, რომელიც კულისებში მყოფ ივანიშვილზე დადასტურებულად აცხადებდა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ის გააქტიურდებოდა და პოლიტიკაში ღიად დაბრუნდებოდა. მეტიც, მან ივარაუდა, რომ არჩევნებამდე დაახლოებით 3 თვით ადრე ის გადააყენებდა მთავრობას და პროცესების მართვას საკუთარ თავზე აიღებდა.

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს ვალერი გელბახიანი:**

**— ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და კომენტარები რას ნიშნავს. „რუსთავი 2“-ის საქმის დასრულების შემდეგ ჩვენ ახალ პოლიტიკურ რეალობას ვიხილავთ?**

– რაც დრო გადის, მეტად ვრწმუნდები, რომ უფრო მეტი სიურპრიზისა და მოულოდნელობის წინაშე დავდგებით, ვიდრე ამას მე ვვარაუდობდი. ბატონი ბიძინა ივანიშვილის 10 ნოემბრის განცხადებები მიანიშნებს იმაზე, რომ ვიღაცას ხელისუფლებაში მისი სახელი ბოროტად აქვს გამოყენებული და ვიღაცამ ძალიან გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე თავის მართლების რეჟიმში იყო ხელისუფლება „რუსთავი 2“-თან მიმართებაში, რომ ის არ ერეოდა ამ პროცესში, ჩვენ ვერ დავინახეთ ხელისუფლების მხრიდან ისეთი ნაბიჯები, რომელიც ამ ეჭვებს გამორიცხავდა. იგივე სასამართლოს მოქმედებებთან დაკავშირებით, ბატონმა ივანიშვილმა წყალგამყოფი ხაზი გაავლო. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც აბსოლუტურად ვეთანხმები. თუ ვიღაცას გათვლილი ჰქონდა, რა მოჰყვებოდა მის ნაბიჯებს, მაშინ მას სწორად უნდა გაეთვალა, ივანიშვილი კი ამბობს, მე რომ მათ ადგილზე ვყოფილიყავი, უკეთ გავთვლიდი და უკეთესი შედეგები დადგებოდაო. ასეთი მაღალი ინტერესის საქმის, ასეთი სწრაფ ტემპში სასამართლოს განხილვა და ასეთი გადაწყვეტილებების გამოტანა აგრესიული ტონალობით, ბუნებრივია, აჩენდა აზრს, რომ ეს იყო ვიღაცისგან ინდულგირებული, – მიდი, შენ გააკეთე და ხმას ვერავინ ამოიღებსო. მაგრამ ხომ ხედავთ, ივანიშვილმა ხმა ამოიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმის რევიზია უნდა გაკეთდეს. მივესალმები ივანიშვილის ამ ტიპის განცხადებებს, ახლა ვთხოვ პირადად მას, თავად მოახდინოს რეაგირება და მოითხოვოს იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, ვინც უდიერად ეპყრობა სამართალს. როგორც ჩანს, ახლა ის არკვევს, ვინ ჩაერია ამ საქმეში. ვისი ინტერესი იყო „რუსთავი 2“-თან დაწყებული სამართლებრივი დავა. ჩვენ ვხედავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს უნდა საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა, რომ მისი ხელი ამ პროცესში არ ურევია, რადგან მან თქვა, – მე რომ ვყოფილიყავი ამ საქმეში, უკეთ გავაკეთებდიო. ამ განცხადებებში ამოკითხულია პროტესტის ნიშანი, შესაძლოა, თავის დროზე ვინმემ უთხრა ივანიშვილს, ამ ნაძირალა სააკაშვილს „რუსთავი 2“-ს წავართმევო, მაგრამ დაინახა დაუკრეფავში გადავიდნენ და მის ხელისუფლებას ამით ზიანი მიადგა. ბუნებრივია, ამ საკითხს ისე არ დატოვებს, ის ჩაერია პროცესში და მოითხოვს იმ ხალხის დასჯას, ვინც უმტკიცებდა, რომ ნაძირალა სააკაშვილს „რუსთავი 2“-ს ისე წაართმევდა, ამას ხელისუფლების იმიჯი არ შეეწირებოდა. როცა ქონების დაბრუნების ეგიდით გამოდიხარ და ქიბარ ხალვაშს უბრუნებ ქონებას, ჯერ ცხონებული ზვიად ცეცხლაძის ოჯახისთვის დაებრუნებინა იმავე ქიბარ ხალვაშს წართმეული ქონება, რაშიც ფული არ გადაუხდია და მერე მოეთხოვა თავისი სამართლიანობის აღდგენა. ივანიშვილი კარგად იცნობდა ბიზნესმენ ზვიად ცეცხლაძეს, კარგი ურთიერთობებიც ჰქონდა და პატივსაც სცემდა და ახლა როგორ, ქიბარ ხალვაში აღმოჩნდა პატიოსანი ბიზნესმენი და წინა ხელისუფლებისგან დაჩაგრული?!. ახლა გაიგო ეს ამბავი და ქიბარ ხალვაში სააკაშვილის რეჟიმისგან დაჩაგრული კი არ იყო, არამედ ის იყო იმ რეჟიმის ჯიბის ბიზნესმენი, რომელიც თვითონ „ახევდა“ სხვებს ბიზნესებს.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ დაისჯება ამის გამო, მოსამართლე ურთმელიძე თუ ვინმე ხელისუფლებიდან, თუ მთლიანად ხელისუფლება გადაჰყვება ამას?**

– ვინც ხელისუფლება დაარწმუნა, რომ ამ საქმეს მოიგებდა, „ნაციონალებს“ სუფთად აახევდა „რუსთავი 2“-ს, ის დაისჯება. თქვენ ხედავთ, „რუსთავი 2“ არ გადავიდა ახალი მესაკუთრის ხელში, ეს საკითხი სულ მცირე წელიწად-ნახევარი გაიწელება და ამასობაში არჩევნები დასრულდება, „რუსთავი 2“-ს ვერ გამოაცლიან „ნაციონალურ მოძრაობას“. თუ ტექნიკურად და უფრო ჭკვიანად მოიქცეოდნენ, რა თქმა უნდა, კარგი იდეა იყო, მაგრამ დღეს უკვე ვხედავთ, რომ ამ თემამ ბინძური სახე მიიღო.

**პირდაპირ გეტყვით, რომ ამ საქმის გამო ვიღაცა აუცილებლად დაისჯება, ეს არ მოხდება პირდაპირ ვინმეს დაჭერით, დააკვირდით მოვლენებს, უცბად თითქოს ვიღაც ავად გახდება, ამის გამო თანამდებობიდან გადადგება და აი, სწორედ ის იქნება დასჯილი ამ საქმის გამო.**

**— ივანიშვილმა, ასევე, შეაფასა უცხოელების კრიტიკა და თქვა, რომ უამრავი უმეცარი განცხადება აქვთ გაკეთებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ ყურად არ იღოს და ჟურნალისტის კითხვას, რა გავლენა ექნება პირადად ივანიშვილზე უცხოელების კრიტიკას, უპასუხა, ტყუილად ელოდებიან, რომ მას ვინმე დასჯის, რადგან დანაშაული არ ჩაუდენია.**

**— თქვენ ნახეთ, რომ ივანიშვილი თავდაცვის რეჟიმში გადაიყვანეს, ეს ნიშნავს, რომ ის უკვე წაგებულ თამაშშია. აი, ამას მიაღწია დასავლეთმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ბიძინა ივანიშვილი ყველაზე გაბრაზებული, განსაკუთრებით მის გუნდზე, გაბრაზების მიზეზი კი მას ნამდვილად აქვს, ეს ამბები მარტივად არ ჩაივლის**

და ვინც პოლიტიკოსია გუნდში, ის თავის სვლებს გააკეთებს. ფაქტია, „რესპუბლიკელები“ ვაჭრობენ და ეს პროცესები დიდი ხანია მიდის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ალასანია – თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს კოალიცია. თუმცა ისინი არიან შემდგარი პოლიტიკოსები, ინტელექტუალური ძალა და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ვაჭრობენ. გასაკვირი სულაც არ არის ის ამბავი, რომ „რესპუბლიკელები“ ასე იქცევიან, მე ის მიკვირს, აქამდე როგორ მოიტანა „კოალიციამ“ თავი და რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ძირითადი ოპოზიცია, და მათ ადგილას სხვა ოპოზიციური ძალა გვენახა, დამერწმუნეთ, თავს ვერ შეინახავდა კოალიცია „ქართული ოცნება“, ეს ხელისუფლება აქამდე ჩამოშლილი იქნებოდა. ნებისმიერი ძლიერი ოპოზიცია ამ ხელისუფლებას სახლში გაუშვებდა.

**— როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა მთავარი ოპოზიციური ძალა „პატრიოტთა ალიანსი“ და ჩაანაცვლებს თუ არა ის „ნაცმოძრაობას“? ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ირმა ინაშვილმა საგარეჯოს არჩევნებზე მოლოდინს გადააჭარბა, არ ეგონა, რომ ასეთ ძლიერ კონკურენციას გაუწევდა „ოცნების“ კანდიდატს და მას შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე?**

**— ივანიშვილმა დაახლოებით ორი კვირის წინ განაცხადა, რომ მას ჭარბი ნდობა აქვს საზოგადოების, ხოლო შუალედურმა არჩევნებმა ბიძინა ივანიშვილი დააფიქრა, რომ საქმე მთლად ასე არ არის, მას სწორად არ ჰქონდა რეალობა შეფასებული,**

თუ არ იბრძოლე, რეიტინგი არ გაქვს და მან ეს უკვე აღიარა. ივანიშვილმა ლოგიკურ კითხვას უპასუხა, რომ არც ისეა საქმე, როგორც თავად ჰგონია, ამიტომ საჭიროა, ხელისუფლებამ ყურები გამოიფერთხოს და იბრძოლოს, მეტი გააკეთოს. ივანიშვილმა თქვა, რომ ის ეკონომიკურ გუნდთან ძალიან აქტიურად მუშაობს და მისი წინა განცხადებებიდან განსხვავებით,

**ისიც თქვა, რომ ლარის დევალვაცია აღელვებს და თქვა, რომ არ გამოვრიცხავ პირადად დავეხმარო იმ კრედიტორებს, რომლებიც ლარის კურსის გამო დაზარალდნენო. ეს განცხადებები არის იმის მცდელობა, რომ ივანიშვილი ისევ მხსნელად გამოჩნდეს. თუ მან საკუთარი დიდი ფული არ დახარჯა, სხვანაირად არაფერი გამოვა, მან უნდა აღიდგინოს ის ავტორიტეტი, რაც მოსახლეობაში ჰქონდა.**

ბუნებრივია, რა ავტორიტეტიც მას 2012 წელს ჰქონდა, ის აღარ დაუბრუნდება, მაგრამ შუალედურმა არჩევნებმა საფრთხის წინაშე დააყენა. მან მოუწოდა ამომრჩევლებს, მხარი დაეჭირათ კოალიციის კანდიდატისთვის, მაგრამ ხალხმა არ მოუსმინა, ამით მიხვდა, რომ მას ჭარბი ავტორიტეტი არ აქვს, ვიღაცა ატყუებდა, რომ ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს და მისი სიტყვა გადამწყვეტია, მაგრამ საკუთარი თვალით ნახა, რომ თურმე ასე არ არის. ამიტომ ის იწყებს აქტიურ ქმედებას, მისივე რეიტინგშია პრობლემა, პარტიას რომ რეიტინგი არ აქვს, თვითონაც კარგად იცის, ამიტომ უნდა თუ არა, პირდაპირ მოქმედებაზე უნდა გადავიდეს. რეფორმები, ხალხისთვის იმედის ჩასახვა, შედეგები, ეს ყველაფერი ერთობლიობაშია, მაგრამ, თუ პროცესებს თვითონ ჩაუდგება სათავეში, ბუნებრივია, ამის მიხედვით მოხდება ბევრი რამის გადაწყობა.

**საარჩევნო ტექნოლოგიას აქვს სულ სამი კომპონენტი — ფული, კარგი პარტიული ორგანიზაცია და ტელევიზია. ეს აქვს ორივე ძალას — „ნაცმოძრაობასაც“ და „ქართულ ოცნებასაც“, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, კარგი ტელევიზია არ აქვს, ამ მხრივ, უპირატესობა „ნაცების“ მხარესაა (რომც ჰქონდეს „ოცნებას“ უკეთესი ტელევიზია, რას უზამს „რუსთავი-2“-ის გავრცელებულ იმ ფაქტებს, რასაც მოსახლეობა „რუსთავი-2“-ის გარეშეც ხედავს? — რედ.) პლუს ამას არის პარტიები, რომლებიც 5%-იან ბარიერს გადალახავენ — „პატრიოტთა ალიანსი“, „ბურჯანაძე“, ალასანია, ნათელაშვილი. ასე რომ, ექვსი სუბიექტი გამოდის სერიოზულ მოთამაშედ. ივანიშვილს რომ ეგონა, უმრავლესობა ჩემს ხელშიაო, ეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ან არის მის ხელში და ან — არა...**

ამიტომ ეს მოცემულობა ივანიშვილს აიძულებს, პირადად შემოვიდეს პოლიტიკაში და საკუთარ თავზე აიღოს პროცესები.

**— დაბოლოს, ივანიშვილის პრობლემად პრეზიდენტ მარგველაშვილის ავლაბრის რეზიდენციიდან გამოყვანის თემა ისევ რჩება. სამართლებრივი მექანიზმების ამუშავებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას. რა სამართლებრივი ბერკეტი არსებობს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციიდან გამოყვანისა და რა რეაქცია ექნება საერთაშორისო საზოგადოებას?**

– თუ მთავრობა გამოიტანს დადგენილებას, რომ გამოსახლებული იქნას პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციიდან, მერწმუნეთ, ეს იქნება უარესი სკანდალი, ვიდრე „რუსთავი 2“-ის. პრეზიდენტის გამოსახლება სამართლებრივად ასე იქნება: მთავრობა ადგენს, სად უნდა განთავსდეს პრეზიდენტი, თუკი ათონელზე არ გადავიდა გიორგი მარგველაშვილი, მიმართავენ სასამართლოს და სასამართლო გადაწყვეტს პრეზიდენტის გამოსახლების საკითხს. თუ სასამართლოს განჩინებას არ დაემორჩილება პრეზიდენტი, სააღსრულებო ბიურო ჩაერთვება საქმეში და იძულებით გამოასახლებენ.




**„როგორც ჩანს, ახლა ის არკვევს, ვინ ჩაერია ამ საქმეში. ვისი ინტერესი იყო „რუსთავი 2“-თან დაწყებული სამართლებრივი დავა. ჩვენ ვხედავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს უნდა საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა, რომ მისი ხელი ამ პროცესში არ ურევია, რადგან მან თქვა, — მე რომ ვყოფილიყავი ამ საქმეში, უკეთ გავაკეთებდიო. ამ განცხადებებში ამოკითხულია პროტესტის ნიშანი, შესაძლოა, თავის დროზე ვინმემ უთხრა ივანიშვილს, ამ ნაძირალა სააკაშვილს „რუსთავი 2“-ს წავართმევო, მაგრამ დაინახა დაუკრეფავში გადავიდნენ და მის ხელისუფლებას ამით ზიანი მიადგა“**

## ნატოს გენერალი: საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის დიდხანს მოუწევს ლოდინი



„ეს არ არის ის პირობა, რომლის შესრულებაც ნატოს შეუძლია“, – ასეთ კომენტარს აკეთებს ნატოს გენერალი რიჩარდ შირეფი საქართველოსთვის გაცემულ დაპირებაზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

„აიპრესისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ნატოს გენერალი, ევროპაში ნატოს ყოფილი მთავარსარდლის მოადგილე რიჩარდ შირეფი რუსეთის წინააღმდეგ გატარებულ სანქციებსა და სირიაში რუსეთის ჩართულობაზე საუბრობს.

**— როგორ ფიქრობთ, 2008 წლის საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შემდეგ იყო თუ არა სწორი რეაქცია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან? ვგულისხმობ იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ გაატარა.**

– საქართველოში შეჭრის შემდეგ, ჩემი ხედვით, საერთაშორისო თანამეგობრობა ჩვეულებრივ დაუბრუნდა ბიზნესის კეთებას რუსეთთან, რაც ძალიან სწრაფად მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილმა საბჭოთა ქვეყანამ ძალით სცადა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია. ჩემი მოსაზრებით, ისე გამოვიდა, რომ ამით თანამეგობრობამ სიგნალი გაუგზავნა რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინს, რომ აგრესია, რომელიც მან განახორციელა, თითქოს მისაღებია და დასავლეთი, საერთაშორისო თანამეგობრობა დაუბრუნდა ჩვეულებრივ ცხოვრებას. შემდეგ, 2014 წელს ჩვენ ვნახეთ რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ყირიმში და ეს მოწმობს იმაზე, რომ სანქციები უნდა განხორციელებულიყო 2008 წელს.

**— რამდენად ეფექტურია დღეს არსებული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ?**

– სანქციებს ნამდვილად დიდი გავლენა აქვს რუსეთის ეკონომიკაზე, ნამდვილად ზიანი მიაყენა რუსეთის ეკონომიკას, თუმცა აგრეთვე ზიანი მიაყენა ევროკავშირის ეკონომიკასაც. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ევროპაში შემცირდა. სანქციებმა გავლენა იქონია, მაგალითად, ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ლატვია, მაგრამ მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ბიზნესმენები, ბანკირები, უბრალო მოქალაქეები ამ სანქციების გამკაცრებასაც უჭერენ მხარს. თუმცა ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ყველაფერი კარგადაა. ფაქტი ფაქტად რჩება, რუსეთი შეიჭრა უკრაინაში თითქმის ისევე, როგორც საქართველოში.

**— რას ფიქრობთ ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო ინტეგრაციაზე, ეს უსაფრთხო გადაწყვეტილება იქნება ამ ქვეყნებისთვის? შესაძლებელია ეს მოხდეს მომდევნო წლებში?**

– ნატო, როგორც გახსოვთ, შეჰპირდა საქართველოს და უკრაინას 2008 წელს ნატოში წევრობას, მაგრამ ძალიან სახიფათოა ისეთი დაპირებების მიცემა, რომელთა განხორციელებაც არ შეგიძლია. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის ის პირობა, რომლის შესრულებაც ნატოს შეუძლია, რადგან თუ ნატოს უნდა, რომ საქართველო და უკრაინა ჰყავდეს წევრებად, ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოს ხელეწიფება საქართველოსა და უკრაინას წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებზე პასუხის გაცემა, რადგან საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ხოლო უკრაინის ორი პროვინცია ოკუპირებულია რუსი სეპარატისტების მიერ. ვიცით, რომ რუსეთი ამ ტერიტორიაზე აშკარად შეიჭრა და მე ვფიქრობ, რომ ძალიან რთულია ასეთი დაპირებების მიცემა კოლექტიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, მანამ, სანამ ეს სიტუაცია გრძელდება. ვშიშობ, რომ რეალობა არის ასეთი – საქართველოსა და უკრაინას ნატოში გაწევრიანებისთვის დიდხანს მოუწევთ ლოდინი. (ipress.ge)

**დიდი ეჭვი გვაქვს, ბევრი გემოზე შეუკურთხებდა ნატოელ გენერალს, მაგრამ რას ვიზამთ, მწარეა სიმართლე და განსაკუთრებით მწარე და აუტანელია ის, რომ ძალიან ბევრი ცდილობს — საქართველოშიც და ნატოშიც — ურცხვად თვალებში ნაცარი შეგვაყაროს, მოლოდინები გაგვიჩინოს და მერე... მერე ბრაწწი, ჩემო ბატონო, უაზრო ჭკუის დარიგებები და თითის ქნევები.**

**და როცა ამ რეალობაზე პირდაპირ წერს ხოლმე „ალია“-„ქრონიკა“, გამოხტებიან უსაქმური არასამთავრობო ორგანიზაციები და რუსეთუმეობას გვაბრალებენ. ამ მაიმუნობის გამო კი იმსახურებენ, სასამართლოში უჩივლო ასეთ უტიფრებს, სასამართლოდან ცხვირი არ გამოაყოფინო, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“-ს ვარიანტია — მაინც ვერაფერს გაიგებენ.**

**ვისაც ურჩევნია ილუზიებში ცხოვრება, ნება მისია, ჩვენ კი, მიუხედავად ნატოში საქართველოს გაწევრიანების დიდი სურვილისა, მწარე რეალობას ვარდისფერი სათვალეების გარეშე ვუყურებთ და საშინელი და სავსებით ბუნებრივი რეაქცია გვაქვს ხოლმე, როცა გვიმტკიცებენ: მიგიღებთ ნატოში, აბა, რას ვიზამთო...**



## ვაიიი, ისეთს დაგარტყამთ, დაგმანჭავთ და გადაგპარჭყავთ ღობეებზე...



– რუსეთი განავითარებს დარტყმით სისტემებს, რომლებიც ნებისმიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს დაძლევს, – „ტასის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აცხადებს.

– ჩვენ ვიმუშავებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზეც, მაგრამ პირველ ეტაპზე, როგორც არაერთხელ განგვიცხადებია, ვიმუშავებთ დარტყმით სისტემებზეც, რომლებიც შეძლებენ, დაძლიონ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნებისმიერი სისტემები, – განაცხადა პუტინმა. როგორც პუტინი აცხადებს, აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ჭეშმარიტი მიზანი რუსეთის ბირთვული პოტენციალის განადგურებაა.

– თანაც არც ჩვენი შეშფოთება, არც წინადადებები თანამშრომლობის შესახებ, სამწუხაროდ, მხედველობაში არ მიიღება, – აღნიშნა პუტინმა.

მისივე განცხადებით, რუსეთს არაერთხელ არწმუნებდნენ, რომ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ევროპული სეგმენტი ვითარდება ირანის ბალისტიკური რაკეტების გამო.

– თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული ვითარება დარეგულირებულია და ხელმოწერილია შესაბამისი შეთანხმებები. ამის მიუხედავად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე მუშაობა მაინც გრძელდება, – აცხადებს პუტინი. მისივე თქმით, ამერიკა თავისი გეგმების განსახორციელებლად ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ საფრთხეს არის ამოფარებული. (რეპორტიორი)

## იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებას მხარი დაუჭირა



იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა და კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის და მისი თანამდევი პროექტების პლენარულ სხდომაზე გატანას. კანონპროექტის ძირითადი არსი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებაში მდგომარეობს. პროექტის ინიციატორი პარლამენტის წევრი, ზურაბ ჯაფარიძეა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას. (ნიუპოსტი)

## რუსმა ჯარისკაცმა ტაჯიკი ქალი მოკლა



ტაჯიკეთში დისლოცირებულ რუსეთის 201-ე სამხედრო ბაზის თანამშრომელი, უფროსი ლეიტენანტი ივან შერმაკოვი ტაჯიკი ქალის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

წინასწარი ინფორმაციით, რუსმა ოფიცერმა ტაჯიკი ქალი საერთო საცხოვრებელში მიიწვია და მკვლელობაც სწორედ იქ მოხდა.

მოტივი უცნობია, თუმცა ბრალდებული აცხადებს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის მთვრალი იყო.

201-ე რუსული სამხედრო ბაზა ქვეყნის გარეთ მდებარე ერთ-ერთი უმსხვილესი ობიექტია და მასში 6 ათასი სამხედრო მსახურობს.

(პირველი რადიო)

## ეკა გიგაური ივანიშვილის კრიტიკას გამოეხმაურა



ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ჩემზე ნებისმიერი წარმოდგენა ჰქონდეს. არ მგონია, რომ ყველას უნდა მოვწონდე ან იზიარებდეს იმას, რასაც ვამბობ. თუმცა, მაშინ, როდესაც საქართველოში ევროკავშირის კომისიონერია ჩამოსული და ჩვენ ყველანი ვცდილობთ, დავარწმუნოთ, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლა უნდა გაფორმდეს, ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა და ფაქტობრივი მმართველი არასამთავრობოს არ უნდა დაესხას თავს, თუნდაც არ იზიარებდეს იმას, რასაც ისინი ამბობენ. თორემ ჯანდაბას, ვინმეს რომ არ მოვწონვარ, ამას ავიტან. დღეს მე ვიჯექი და საქართველოს ევროინტეგრაციაზე ვლაპარაკობდი და ის უცხოელი დიპლომატების განცხადებას უმეცარს ეძახდა, არასამთავრობოებს ლანძღავდა და საქართველოს პრეზიდენტს რეზიდენციიდან გამოსახლებით ემუქრებოდა. დღეს მე მგონი, ყველა ერთი მიზნის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და საქართველოს ევროპულ მომავალზე ვიფიქროთ. სამწუხაროა, რომ ყველა ასე არ ფიქრობს, – წერს ეკა გიგაური „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

**რა თქმა უნდა, ეკა გიგაური უნდა გამოხმაურებოდა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, მაგრამ ასეთ გამოხმაურებას კი ნამდვილად არ ველოდით და რატომ: ევროკავშირის კომისიონერი რომ არ ყოფილიყო, მაშინ შეეძლო, ის ეთქვა, რაც თქვა? ანუ ევროპელები უნდა მოვატყუოთ? არა, ტყუილები მაგათ კი არ გაუკვირდებათ, მაგრამ... რა ვიცი, რა ვიცი...**



## დედა, რა მაგარია, მიროტაძემ უფლება მოგვცა — დიახ, მაკრიტიკეთო...



„რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები, სამართლებრივი პროცესები და სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, კვლავ განხილვის აქტიურ თემად რჩება. მინისტრთა კაბინეტისა და საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებენ განცხადებებს. საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა ინფრასტრუქტურის მინისტრის ბოლო განცხადება: „თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება დამფუძნებელი – ბასილაშვილი, ჯავახიშვილი თუ პეტრიაშვილი, რა ეშლება სიტყვის თავისუფლებას?“

რაც შეეხება, უმრავლესობის დეპუტატებს, ანი მიროტაძე ჯავახიშვილის განცხადების კომენტირებისგან თავს იკავებს, თუმცა საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს, როგორ არ უნდა შეეშალოს ხელი დავის მიმდინარეობის დროს ტელევიზიის მუშაობას:

– საერთოდ არ მიყვარს გამონათქვამის კომენტირება, მაგრამ გეტყვით როგორაა ჩემი აზრი მფლობელებთან დაკავშირებით. ძალიან არ მიყვარს და უსამართლობა მგონია, თუ ვინმეს რამე არ ეკუთვნის, იმას წაიღებს. ჩემთვის გვარს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება არც ხალვაშს არ ეკუთვნის, შეიძლება არც დვალს არ ეკუთვნის, შეიძლება არც აქიმიძეს არ ეკუთვნის, შეიძლება არც ყარამანიშვილებს არ ეკუთვნით. ვისაც ეკუთვნის, მისი უნდა იყოს. ეს რაც კუთვნილებას შეეხება. და მეორე ოქროს წესი რაც არის – არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ტელევიზიისა და ზოგადად საინფორმაციო საშუალების პოლიტიკური მიზნებისთვის, პოლიტიკურ იარაღად გამოყენება. რაც მთავარია, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს საინფორმაციო პოლიტიკაში ჩარევა. ანუ, არხის საინფორმაციო პოლიტიკა ვიღაცების კერძო ინტერესებისგან უნდა იყოს გამიჯნული. ანუ კითხვაზე, უნდა ისმოდეს თუ არა კრიტიკული აზრი, უნდა ისმოდეს თუ არა იმ პრობლემების შესახებ, რომელიც არის ქვეყანაში, უნდა მაკრიტიკებდნენ თუ არა მე მაგალითად, ან ნებისმიერ ადამიანს, ვინც მეტ-ნაკლებად ვართ ხელისუფლება და ა.შ. მე გეუბნებით, რომ დიახ! – განაცხადა ანი მიროტაძემ. (პირველი რადიო)

## გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ შმიდტი გარდაიცვალა



96 წლის ასაკში გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ შმიდტი გარდაიცვალა. გერმანული მედიის ინფორმაციით, ექსკანცლერის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დღეებში მკვეთრად გაუარესდა. სექტემბერში მან წარმატებით გადაიტანა თრომბის ოპერაცია ფეხზე, რის გამოც შმიდტს, რომელიც თამბაქოს ჭარბ მომხმარებლად ითვლებოდა, მასზე თავის დანებება მოუწია.

ჰელმუტ შმიდტი გერმანიის მეხუთე ფედერალური კანცლერი იყო. მას ეს თანამდებობა 1974-1982 წლებში ეკავა. ის თანამდებობაზე ჰელმუტ კოლმა შეცვალა. მანამდე შმიდტი იყო ბუნდესტაგის დეპუტატი (1953-1962), 1969-1972 წლებში ის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა. 1973-1974 წლებში კი ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებდა. (ნიუპოსტი)

# რა ხდება მერიის კულუარებში სკანდალური გადადგომების შემდეგ?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**რატომ არ ინიშნებიან თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ახალი ხელმძღვანელები? კიდევ ვის მოუწევს თანამდებობების დატოვება? ვისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, თუ მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების საკითხზე გამოძიებები დაიწყება? რა ხდება მერიის ქვედა რგოლებში?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

**— დაახლოებით ათი დღეა, თანამდებობები დატოვეს საქალაქო სამსახურების უფროსებმა — გეგი ნიჟარაძემ, ავთანდილ სუდაძემ, გიორგი არეშიძემ, ბიძინა გიორგობიანმა... ახლა რა სიტუაციაა მერიაში, რა ხდება კულუარებში?**

– 15 თვის განმავლობაში მივანიშნებდით დავით ნარმანიას იმაზე, რომ მას ჰქონდა საკადრო პრობლემა და ამ პრობლემებს სწრაფი რეაგირება სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა როგორც თვითონ, ასევე ქალაქი. ნარმანიამ ყური არ გვიგდო და დადგა სავალალო შედეგები. სანამ ქალაქის მერი დავით ნარმანიაა, არაფერ სასიკეთოს არ უნდა ველოდოთ ქალაქში. არ იქნება სუდაძე, იქნება სხვა „სუდაძე“, არ იქნება გეგი ნიჟარაძე, იქნება სხვა „გეგი ნიჟარაძე“.

**ხალხი კი გაუშვეს, მაგრამ ახლებიც ვერ დანიშნეს, იმიტომ, რომ კატასტროფული ვითარებაა მერიაში საკადრო კუთხით. უკვე ამდენი ხანი გავიდა და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსიც ვერ დანიშნეს. არავის არ სურს სუდაძის შეცვლა, იმიტომ, რომ მან სავალალო მდგომარეობა დატოვა სამსახურში და ამ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობის აღება არავის არ სურს.**

ამ სამსახურის ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, რომ თავი უნდა გაწირო ნარმანიასთვის და ამად არავის უღირს თანამდებობა.

ამასობაში ქალაქს პატრონი არ ჰყავს, უკვე ისეთ ადგილებში დაიწყეს გადათხრა, სადაც, სავარაუდოდ, ტენდერებიც კი არ არის გამოცხადებული. ვაპირებთ, ექსპერტიზა ჩავუტაროთ ჭავჭავაძის გამზირს, სადაც გზა გადათხარეს და რამდენიმე კვირაა მიგდებულია და გზა გაუვალია. წერეთლის გამზირზე, საერთოდაც, კილომეტრ-ნახევრიანი გამზირია გადათხრილი ალაგ-ალაგ, მანქანები ვერ დადიან, ეს გამზირიც უყურადღებოდაა მიგდებული.

**— გადათხრილ გზებზე ნარმანიამაც ისაუბრა, კონტრაქტორი კომპანიები სამუშაოებს თავს ვერ ართმევენო და მოსახლეობას ბოდიში მოუხადა. რატომ მიატოვეს?**

– სატენდერო დოკუმენტებში წერია, რომ ამ გზებზე კეთდება კაპიტალური შეკეთება, მაშინ, როცა სამაგისო მართლა არაფერი სჭირდა და გაკეთებული ჭავჭავაძე გადაგვითხარეს. ვინ, სად, რა გადათხარა, ვერ გარკვეულან და არიან ასე, გაჩერებულები. ამის პარალელურად, გამოდის ნარმანია და გვიყვება ანეკდოტს, რომ თურმე თვითნებურად თხრის გზებს ხალხი. ზედამხედველობის სამსახურის შენახვა მილიონობით ლარი რომ გვიჯდება ყოველწლიურად, გამოდის, ტყუილად ვიხდით. აბა, რას ნიშნავს მერის განცხადება, რომ თვითნებურად ხდება ეს ყველაფერი? სამწუხაროა, რომ ამ კაცმა, ქალაქის მერი რომ ჰქვია, დღემდე ვერ გააანალიზა, რომ ქალაქის მერია და არა სოფელ კოკის რიგითი ამომრჩეველი.

ტენდერებს იგებენ, სამუშაოებს იწყებენ და მერე ხელშეკრულებებს აუქმებენ. ვერ ასრულებენ სამუშაოებს, 15 თვეა ვსაუბრობთ, რომელი კომპანია რის მკეთებელია და ახლა ნახა ნარმანიამ ეს ყველაფერი? ტენდერამდე 2 თვით ადრე გახსნილ ორგანიზაციებს რომ უფორმებდნენ ხელშეკრულებებს, ეს ხომ ჩვენზე კარად იცოდნენ?! ახლა იხდის ბოდიშებს.

**— მოხსნა-გადადგომები დასრულდა?**

– უახლოეს მომავალში ველოდებით საკადრო ცვლილებების ახალ ტალღას.

**ჩვენი ინფორმაციით, რიგში დგას მერის მოადგილე, ბატონი გიორგი სოლომონია. ის დღეს, ფაქტობრივად, ჩამოშორებულია მერიის საქმიანობას, სპეცსამსახურებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება მის „გაწევაზე“. ის, სუს-ის კადრია და ეს სამსახური არ იყო მისი მუშაობით კმაყოფილი.**

მერია, ფაქტობრივად, აყირავდა და მერიის ეს აყირავება პირდაპირპროპორციულია „ქართული ოცნების“ აყირავებასთან. დედაქალაქში ყოველდღიურად იზრდება უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი. ამიტომ, სოლომონიას მერე, რიგში დგანან გამგებლები. ამ ეტაპზე სერიოზული ზეწოლა მიდის სამგორის გამგებელზე, მამუკა ჩოქურზე, რომ ამ ადამიანმა დატოვოს თანამდებობა.

**— ვინ ახდენს ზეწოლას?**

– ზეწოლა მიმდინარეობს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდისგან, კულუარებში მიდის საუბრები, რომ ადამიანებმა, რომლებიც შემჩნეულები არიან კორუფციულ გარიგებებში, აუცილებლად დატოვონ თანამდებობები, იმიტომ, რომ ისინი ანგრევენ მათ ისედაც დაბალ რეიტინგს. ეს ადამიანი რომ ამ დრომდე გამგებელია, ირაკლი შიხიაშვილის დამსახურებაა და ავტომატურად ჯანყარაშვილზე ავდივართ, იმიტომ, რომ შიხიაშვილი ჯანყარაშვილის კადრია და ისევ და ისევ ჯანყარაშვილს უწევენ ანგარიშს.

ამ ჩოქურმა ახლა, იმის ნაცვლად, რომ ჭკვიანად იყოს, ადგა და ცოტა ხნის წინ „სამგორობა“ ჩაატარა, რაშიც 17 ათას ლარზე მეტი დახარჯა.

**4000 ლარის ღვინო ჰქონდა ნაყიდი და 4000 ლარის ალა-ფურშეტი შეკვეთილი. 2800 ლარად კიდევ თურმე ფილმს იღებენ. როგორც ჩანს, კინოსტუდია გახსნეს, როგორც მერიაში, ასევე გამგეობებში.**

ამ ფილმებს კი იღებენ, როგორც ხარჯთაღრიცხვებში ჩანს, მერიები და გამგეობები ერთმანეთის ჯიბრზე, მაგრამ რატომღაც გადაღებულ ფილმებს ვერ ვხედავ.

**ფულის კეთების შნოც კი არ აქვთ — ხარჯთაღრიცხვაში უწერიათ, რომ უნდა იყიდონ პროექტორი. 5 მუნიციპალიტეტი აქვს სამგორს და ხუთივეს აქვს პროექტორი და თურმე ისევ პროექტორი უნდა იყიდონ. გულისამრევია ეს უკვე.**

ასევე, ველოდებით საბურთალოს გამგებლის, ბექა მიქაუტაძის განთავისუფლებას, აქ უფრო მარტივად აქვთ საქმე, იმიტომ, რომ მას არ ჰყავს სერიოზული ლობები. ამ ორის საქმე გაჩერებულია იმიტომ, რომ ორივე გამგებლის შეცვლას ერთად გეგმავენ. ეს იქნება უახლოს დღეებში. ცდილობენ, ისე გააკეთონ, რომ ამან ხმაური არ გამოიწვიოს.

ასევე, ერთ-ერთ კვლევას ვაწარმოებთ და მოკლედ გეტყვით ამაზე – შარშან ხომ გახსოვთ, რა ტიპის სატრანსპორტო კოლაფსი იყო, წელს ორი იმდენია მოსალოდნელი. ჯერ ერთი, ეს გადათხრილი გზები ნახეთ, წინა ზამთარში გაუმართლა ნარმანიას, არ იყო ყინვები. აი, წელს რას აპირებენ, საინტერესოა. ქალაქში მანქანების რაოდენობა იმატებს, გზებზე სიტუაცია უარესდება და სამსახურიდან 6 საათზე გამოსული, 9 საათამდე ვერ მიხვალ, თუ მშვიდობით მიხვედი, ადამიანი.

**კიდევ მეორე განთავისუფლებული ადამიანების საკითხი. არეშიძე ნახეთ — დაიღალა და წასვლა უნდაო, ნარმანიამ რომ თქვა. რა გააკეთა, რომ დაიღალა? ფული ჩაურიცხა მერიის ბიუჯეტიდან ძმაკაცებს და წავიდა. დაიღალა კი არა, ჩვეულებრივი კორუმპირებულია. როგორც კი იარსებებს ქვეყანაში იმის პოლიტიკური ნება, რომ მისი საქმე გამოიძიონ სამართლებრივად, ეს ბიჭი თავს ამოყოფს ციხეში, თუ ქვეყანა არ დატოვა და მიიმალა. ამ ბავშვმა, მისი სიძე, კახი კალაძე ძალიან ცუდ დღეში ჩააგდო. ყურებით უჭირავს ახლა „ქართულ ოცნებას“ კახი კალაძე მისი ცოლისძმის გამო, პოლიტიკურად დამოუკიდებელი აღარაა უკვე ეს კაცი და მეეჭვება, თავისი პოლიტიკური კარიერის გამო ეს ბავშვი გაწიროს.**

რაც შეეხება გეგი ნიჟარაძეს, მის დაჭერასაც, უბრალოდ, პოლიტიკური ნება სჭირდება, თორემ პირდაპირ ვიდეოები არსებობს, მტკიცებულებების სახით, სადაც ის თანამდებობას ბოროტად იყენებს.

**ბიძინა გიორგობიანი — ჩვენ მის საკითხზე კვლევაც გვაქვს ჩატარებული. მილიონი ხე გადააქციეს ფულის საშოვნელ საშუალებად. იყიდიან ლარნახევრიან ნერგებს 5 ლარად და დაატარებენ აქეთ-იქით. დარგავენ-გადარგავენ, გახმება-გადააგდებენ. ხელშეკრულებაში ეწერათ, რომ 500 ათასი ხე უნდა მოერწყათ. რა სისულელეა! ამდენ ხეს, ერთ დღეს რომ მორწყა, 52 სახანძრო მანქანა სჭირდება. ეს ყველაფერი რომ დევს დოკუმენტურად, ეს ხომ ასე უკვალოდ არ ჩაივლის?**

**— ზედა დონეები გასაგებია. ქვედა რგოლებშიც მოსალოდნელია წმენდა?**

– ზედა დონეებზე კი არის საკადრო გადაადგილებები და ამბები, მაგრამ ქვედა და შუა დონეზე უნდა ნახოთ.

**გაავსეს „ქართული ოცნების“ შემომწირველებით მერია. მათი უმრავლესობა ოროსანია, გამოცდებსაც ვერ აბარებენ. ამიტომაც ხდება მერიაში ის, რაც ხდება.**

ვიმეორებ, სანამ დავით ნარმანია იქნება მერად, მანამ არაფერი ეშველება ქალაქს. კოლექტიური ნარმანია სუფევს მერიაში.

**— თქვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი აცხადებდა, რომ ნარმანიას გადაყენება იგეგმებოდა. გადაიფიქრეს?**

– ეს საკითხი აქტიურად განიხილებოდა, მათ შორის ბიძინა ივანიშვილთანაც. უკვე ყველას ყელში აქვს ამოსული მისი უსაქმურობა, მაგრამ მერე გადაიფიქრეს, იმიტომ, რომ ახალი არჩევნების თავი არ აქვს ხელისუფლებას და იციან, რომ ვერ მოიგებენ არჩევნებს, ამიტომაც ახლა ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, ეს საკითხი სუს-ს მიანდოს. მაგრამ არაფერი გამოუვათ, იმიტომ, რომ კრახით დაუსრულდებათ ყველა კადრის გამოშვება. რაც არ უნდა მათთვის სანდო ადამიანები გამოუშვან, ვერაფრით იქნებიან ნარმანიაზე უკეთესი, იმიტომ, რომ არ ჰყავთ მსგავსი კადრები.

**იგეგმება თუ არა ქალაქის მერიაში ახალი საკადრო გადაადგილებები? ამ კითხვით ქალაქის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ნონა ყანდიაშვილს მივმართეთ. ყანდიაშვილმა გვითხრა, „მსგავსი არაფერი იგეგმება“-ო.**




**„ზედამხედველობის სამსახურის შენახვა მილიონობით ლარი რომ გვიჯდება ყოველწლიურად, გამოდის, ტყუილად ვიხდით. აბა, რას ნიშნავს მერის განცხადება, რომ თვითნებურად ხდება ეს ყველაფერი? სამწუხაროა, რომ ამ კაცმა, ქალაქის მერი რომ ჰქვია, დღემდე ვერ გააანალიზა, რომ ქალაქის მერია და არა სოფელ კოკის რიგითი ამომრჩეველი“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ელენე ხოშტარია: „მე ფიზიკურად დავიცავ პრეზიდენტს გამოსახლებისგან“

## გია ხუხაშვილი: „ან ვიღაცას შეცდომაში შეჰყავს ბატონი ბიძინა და არასწორ ინფორმაციას აწვდის, ან რაღაც იცის ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით“

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის უარი ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით „ცინიზმის ძალიან მაღალ დონედ“ შეაფასა და განაცხადა, რომ სურს თუ არ სურს მარგველაშვილს, ეს ამბავი უნდა დასრულდეს.

ვინ რას ფიქრობს ივანიშვილის ამ განცხადებაზე:



**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**

– ბიძინა ივანიშვილი არის ამ ქვეყნის მოქალაქე, მას აქვს ასეთი რადიკალური განცხადებების გაკეთების სრული უფლება და საშუალება. უცნაური იქნებოდა, რომ ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენელი ლაპარაკობდეს. მე მგონი, პრეზიდენტი ამ განცხადებას არ უპასუხებს, მან თავისი პოზიცია დიდი ხანია დააფიქსირა. უბრალოდ, რატომღაც მგონია, რომ ბატონი ბიძინა ამ ციფრებთან დაკავშირებით შეცდომაშია შეყვანილი იმიტომ, რომ ათონელის რეზიდენცია იქნება თუ ავლაბრის, იქაც ხარჯია გასაწევი და აქაც. თუ კომუნალურ გადასახადებს გულისხმობს, არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს. ვერ წარმომიდგენია ნორმატიულად, სახელმწიფოში პრეზიდენტის გამოსახლება შედგეს, როდესაც ბუნებაში არ არსებობა აქტი, რომელიც შეიძლება მთავრობამ მიიღოს და ამით გააუქმოს პრეზიდენტის შესაბამისი აქტი. აქედან გამომდინარე, ან ვილაცას შეცდომაში შეჰყავს ბატონი ბიძინა და არასწორ ინფორმაციას აწვდის, ან რაღაც იცის ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით.

**ლევან ბერძენიშვილი, პარლამენტის წევრი:**

– არა მგონია, რომ დღეს ეს საკითხი რამენაირად აქტუალური იყოს, დღეს სხვა პრობლემები გვაქვს. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდეს ყველა საშუალება, თავისი უფლება-მოვალეობა შეასრულოს. საქართველოს პარლამენტში ეს საკითხი არ დგას, არც განიხილება და არ არის რელევანტური. ეს არის უბრალოდ პერსონალური საკითხი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მესმის ბატონი ბიძინასი, მე ვიცი ამას რატომ ამბობს, მაგრამ არის სახელმწიფო ინტერესები, რომლის მიხედვითაც ეს უინტერესო საკითხია.

**ჯემალ ჭკუასელი, ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– ტირილი და გულზე ხელის ბრახუნი არ ეგების, როცა ასეთ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ამდენი ხალხი არის მშიერი. ძალიან დიდ პატივს ვცემ პრეზიდენტის ინსტიტუტს, პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ის ვიცი, რომ შენს ხალხს არ უნდა მოსთხოვო ის, რაც არ აქვს. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ძალით არ სთხოვს, მაგრამ ამხელა რეზიდენცია რომ არის შესანახი, თავი უნდა შევიკავოთ და ცოტათი დავკმაყოფილდეთ. ჩემი აზრით, პრეზიდენტმა კანონი უნდა დაიცვას.

**თაკო ჩარკვიანი, მუსიკათმცოდნე:**

– არ მგონია, პრეზიდენტი ძალით გამოიყვანონ ავლაბრის რეზიდენციიდან. ზოგადად, მახსენდება პრეზიდენტის განცხადება, როცა თქვა, რაში მჭირდება ავლაბრის რეზიდენციაო. სიმართლე გითხრათ, თვითონ ის ფაქტი, რომ მან თავის დროზე პირობა დაარღვია, არ მომეწონა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს კაცი შევიდა ამ შენობაში, ამიტომ პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივი უნდა ვცეთ. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ძალიან დიდი შეცდომა იქნება სახელმწიფო ინსტიტუტის ასეთი რყევა. პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ ასეთი განცხადებები ამ ეტაპზე არ შეიძლება. შევიდა და მორჩა, გათავდა. თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ სახელმწიფოს ძვირი უჯდება ამხელა შენობის რჩენა, მაშინ პრემიებზე ეფიქრათ, სამარცხვინო პრემიებზე. პარლამენტმა ასევე უნდა იფიქროს ზოგიერთი დეპუტატის სამარცხვინო განცხადებაზე.

**ელენე ხოშტარია, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ თანადამფუძნებელი:**

– მე ფიზიკურად დავიცავ პრეზიდენტს გამოსახლებისგან. მოქალაქე ივანიშვილი ემუქრება პრეზიდენტს. სად ვცხოვრობთ?! (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აი, ეს კაცი ჭკუათხელი და უტვინო სეპარატისტია!




გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თემურ ნადარაია საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვრის დაკეტვას არ გამორიცხავს. ნადარაიას თქმით, საქართველოს მხრიდან სერიოზული პროპაგანდისტული მუშაობა მიმდინარეობს და საქართველო ცდილობს, აფხაზეთის მოსახლეობა ერთობლივად ცხოვრების აუცილებლობასა და სარგებელში დაარწმუნოს:

– ჩვენთვის სერიოზული გამოცდა იქნება საზღვრიდან 5 კილომეტრში, სოფელ რუხში აშენებული მრავალფუნქციური სამედიცინო ცენტრი, რომლის მშენებლობაც საქართველოს ხელისუფლებისგან ფინანსდება. ეს პროექტი, ფაქტობრივად, ჩვენი მაცხოვრებლებისა და მოქალაქეებისთვის განხორციელდა. თუ ისინი ასე წუხან გალის რაიონის მაცხოვრებლების ბედზე, რატომ არ ააშენეს მსგავსი საავადმყოფო გალში? რატომ უნდა გადაკვეთონ გალელებმა ენგურის საზღვარი, – განაცხადა ნადარაიამ.

ნადარაიას თქმით, ამ ცენტრის გახსნის მთავარი დანიშნულება მკურნალობასთან ერთად პროპაგანდისტული მუშაობაა. როგორც გალის დე ფაქტო მმართველი ამბობს, სპეცსამსახურების მხრიდან იმ ადამიანების გადაბირება მოხდება, ვინც აფხაზეთის ტერიტორიიდან სამკურნალოდ რუხში გადავა.

– ვიმედოვნებ, ჩვენი შსს, ჯანდაცვის სამინისტრო შესაბამის ზომებს მიიღებენ, – აღნიშნა ნადარაიამ. მისივე თქმით, აუცილებელია უცხოელი მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის ამოქმედება მოხდეს და ამასთანავე, საქართველოსთან ე.წ. საზღვრის სრულ ჩაკეტვასაც არ გამორიცხავს, იმ შემთხვევაში თუ საქართველო სამედიცინო სფეროს პროპაგანდის მიზნით გამოყენებას გააგრძელებს. (ნიუპოსტი)

**სიკეთეს ასეთი ტვინჩაობებული ტიპები ვერასოდეს დაინახავენ და რაც ყველაზე ცუდია, დახმარების მიღების საშუალებას სხვებსაც არ აძლევენ. არა უშავს, აუცილებლად დაგვიბრუნდება აფხაზეთი, თემურ, и тебя вылечат!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## МГУ-ს სტუდენტ გოგონას „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანების ბრალდება წაუყენეს



მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონას, ვარვარა კარაულოვას რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანებისთვის ოფიციალური ბრალდება წაუყენეს. რუსული მედიის ცნობით, სტუდენტმა დანაშაული აღიარა.

კარაულოვას საქმე ბოლო დროის ყველაზე რეზონანსული თემაა. გამოძიების თანახმად, ვარვარამ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრთან ვირტუალური კავშირი დაამყარა, ისლამი მიიღო და მაისში სტამბულში გაემგზავრა, საიდანაც სირიაში წასვლას გეგმავდა. 4 ივნისს ის თურქეთ-სირიის საზღვარზე დააკავეს და რუსეთში დააბრუნეს.

27 ოქტომბერს, რუსმა სამართალდამცველებმა გოგონას გადაბირებაში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი დააკავეს. გავრცელებული ცნობით, ერთ-ერთი მათგანი ყოფილი ჩეჩენი მაღალჩინოსანია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აბა, ვინ იცის, რამდენი დიპლომი აქვს თამაზ მეჭიაურს?

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის შესახებ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ხუმრობებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური გამოეხმაურა.



– ფრიდომ ჰაუსი ჰქვია თუ ფრიდონ ჰაუსი, თუ ეს არის ამაში მთავარი და არა ის, რომ მე მთლიანად ნეგატიურად შევაფასე ამ ორგანიზაციის განცხადება... თუ ეს არ იყო მთავარი და ვიღაცას უნდა რომ წერა-კითხვის უცოდინრად გამომიყვანოს, არ მიტრაბახია, მაგრამ შევახსენებ, კომაროვი ხუთებზე მაქვს დამთავრებული, უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე და მეორადი ფაკულტეტიც ასევე. ასე რომ, ვიღაცას ორი წიგნი რომ არ აქვს წაკითხული და ჩასაფრებულია, საიდან ამოგლიჯოს ერთი ასო და ამით შაყირი დაიწყოს, ჯობია თავის განათლებას მიხედოს, – განაცხადა მეჭიაურმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში. (ნიუპოსტი)

**მიხო კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან უნდა შევიდეს, გვარად ტრანკაძესთან. ჰოდა, ურჩევენ, არ შეგეშალოს გვარი, თორემ მოგეხაზება, სანამ კაბინეტში შეხვალ, ხშირ-ხშირად იმეორე გონებაშიო. დადის მიხო და „ტრანკაძე, ტრანკაძე, ტრანკაძე“... მივიდა როგორც იქნა კაბინეტთან, გააღო კარი, შეყო თავი და იკითხა:**

**— უკაცრავად, ამხანაგ პრონჭიაშვილის კაბინეტიაო?..**

**ჰოდა, აი, როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ ასოსაც კი, თამაზ ბატონო...**

## ISIS-ის მორიგი სისასტიკე — ჯიჰადისტებმა 200 ბავშვი დახვრიტეს



რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ მძევლების დასჯის შემზარავ მეთოდებს განაგრძობს და მორიგ ვიდეომასალას ავრცელებს.

ინტერნეტში ჯიჰადისტების გავრცელებული ვიდეო გამოჩნდა, სადაც სირიაში 200 ბავშვის სიკვდილით დასჯაა ასახული.

ვიდეო Mirror Online-ზე გამოქვეყნდა. დასჯამდე ბავშვები ძირს პირქვე დააწვინეს, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს.

გამოცემის თანახმად, ისინი ვიდეოს ავთენტურობას ვერ ადასტურებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ მასალა ჟურნალისტებს იემენიდან მიაწოდეს, იმ ტერიტორიიდან, სადაც ისლამისტების მოწინააღმდეგეები მოქმედებენ.

ISIS-ი ტყვეების დასჯის განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. მათ მიერ გავრცელებული რამდენიმე ვიდეოს თანახმად, ისინი მძევლებს ცოცხლად წვავენ, ახრჩობენ, თავს ჰკვეთენ. ჯიჰადისტების მიერ ბოლოს გავრცელებული კადრების თანახმად, მათ მძევლებს ტანკებით გადაუარეს. (ნიუპოსტი)

## მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, ნავთობის ფასი 80 აშშ დოლარს არ გასცდებაო



საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) განცხადებით, უახლოესი 5 წლის განმავლობაში მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, ნავთობის ფასი 80 აშშ დოლარს არ გასცდება. სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის ფათიჰ ბიროლის თქმით, 2015 წლის შედეგებით ნავთობსფეროში ინვესტიციები 20 პროცენტზე მეტით შემცირდება. მისივე თქმით, ეს ტენდენცია მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ექსპერტთა პროგნოზით, ნავთობზე დღე-ღამეში მოთხოვნა ყოველწლიურად 900 ათასი ბარელით გაიზრდება, 2040 წელს კი დღე-ღამის განმავლობაში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 103,5 მილიონ ბარელს მიაღწევს.

IEA-ის ექსპერტები 2016 წელს ნავთობზე მოთხოვნის შემცირებას მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის შემცირებასაც უკავშირებენ.

ბოლო მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 48 აშშ დოლარი შეადგინა. (bpn.ge)

## „დედა ნამდვილად დედაა, ცოლი ნამდვილად ცოლია“ — უსუფაშვილი მოსამართლის ორმაგ აცილებაზე საუბრობს



პარლამენტის თავმჯდომარე ოპონენტებს მიმართავს. დავით უსუფაშვილის თქმით, თუ მისი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ მოსამართლე კოპალეიშვილი მისი თანამშრომელი იყო, მაშინ ეს ორმაგი აცილების საფუძველს იძლევა.

– დედა ნამდვილად დედაა, ცოლი ნამდვილად ცოლია, თანამშრომელი ნამდვილად თანამშრომელია – მე ამას ვადასტურებ. თუ თქვენ მიუთითებთ დამატებით საფუძვლებზე, რომ მოსამართლეებს შეიძლება კიდევ სხვა პრობლემები ჰქონდეთ და მიკერძოებულობა ეჭვქვეშ იდგეს, ორმაგი საფუძველი ყოფილა იმისა, რომ ეს საქმე სხვამ განიხილოს... პარლამენტი არის მხარე სასამართლო პროცესში. ამიტომ, ეს პოზიცია ამა თუ იმ მოსამართლის მიკერძოება-მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს აღქმული, როგორც პარლამენტის პოზიცია სასამართლოსთან დაკავშირებით, – განმარტა დავით უსუფაშვილმა. (პირველი რადიო)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში „ნაცმოძრაობის“ კანონპროექტს იხილავდნენ „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესატან ცვლილებებს რომელიც ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს.

**კანონპროექტის მიხედვით, ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულების მიმართ ხორციელდება სასჯელების შემცირება. კერძოდ, ცალკეული დანაშაულებისათვის ხდება თავისუფლების აღკვეთის გაუქმება და სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმების, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება, ან თავისუფლების აღკვეთის ვადების შემცირება.**

**კანონპროექტი ითვალისწინებს კოდექსიდან იმ მუხლების ამოღებას, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებებისთვის აწესებს: სააღსრულებო საქმიანობა ლიცენზიის გარეშე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა, ყალბი რეკლამა, ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა, უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას.**

**ასევე, უნდა გამოცხადდეს 2-წლიანი მორატორიუმი ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ გარემოზე, საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს კანონი ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ამნისტიისა და დაფარული გადასახადების ლეგალიზაციის შესახებ, რომელიც ჩადენილია 2013 წლის პირველ იანვრამდე. უნდა მოხდეს ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, აიკრძალოს სასამართლოს ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიების შემოწმება სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ. უნდა გამოცხადდეს საგადასახადო ამნისტია 2014 წლის 30 ნოემბრამდე ჩადენილ ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის დანაშაულზე.**

სხდომაზე ოთარ ჩრდილელი და პეტრე ცისკარიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ცისკარიშვილი ამტკიცებს, 9 წლის განმავლობაში სახელმწიფოს ვაშენებდით, ჩაბნელებული, ტოტალური ქაოსიდან განათებული ქვეყანა შევქმენით. ჩვენ 500-მილიონიანი ბიუჯეტი დაგვხვდა, თქვენ კი, 10-მილიარდიანი ბიუჯეტი გაქვთ. როცა ბიზნესის განვითარებაზეა საუბარი, ზოგიერთებმა ბოდიში მოიხადონ, ეკონომიკაზე ის ხალხი გვესაუბრებით, რომლებსაც 1-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა გაქვთო. ჩრდილელმა უპასუხა, „ბადაგონი“ თქვენ არ დალვარეთო? ბიზნესზე თქვენ არ ძალადობდითო? ხალხს ჩვენ ვხოცავდითო?!

საოცარია, „ოცნებას“ იქით აქვს პრეტენზიები, ხალხს ხოცავდითო, ბიზნესს დედას უტ...ნავდითო, „ბადაგონი“ დალვარეთო, ძალადობდითო, კიდევ სხედან და „ნაციონალების“ მიერ შეტანილ პროექტს განიხილავენ. არადა, წესით, იმ ფურცლებს თავზე უნდა ახევდნენ. და მაინც, რას ითხოვენ „ნაციონალები“, რაც მივქარეთ, გვაპატიეთო? დაახლოებით ასეა!

ესე იგიო, 2013 წლის პირველ იანვრამდე ვინც რა მოვიპარეთ, გვაპატიეთ, შეგვარჩინეთ, ამის შემდეგ თქვენ რაც მოიპარეთ და რასაც მოიპარავთ, პასუხი აგეთო. არ გაინტერესებთ, „ნაციონალები“ რა ლოგიკით ამაგრებენ თავიანთ მიზანს? ვინაიდან ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შენელდა, ორი წელია ვერ სრულდება ბიუჯეტი, მთავრობა იღებს უპრეცედენტოდ დიდი მოცულობის, ძირითადად, ძვირ ვალს, უფასურდება ეროვნული ვალუტა, აღინიშნება ექსპორტის კლება, გაზრდილი კრიმინალი უარყოფითად აისახება საინვესტიციო გარემოსა და ტურიზმზე, პოლიტიკური დაპატიმრებები და ოპოზიციის დევნა უარყოფითად აისახება საქართველოს საინვესტიციო გარემოზე.

ვერაფერს იტყვით, „ნაციონალებს“ კარგი მადა აქვთ, რა გამოდის, მერე რა თუ მოვიპარეთ, უნდა შეგვარჩინოთ და ვინც წლების მანძილზე პატიოსნად იხდიდა გადასახადებს, სულ ერთ ადგილას „გვკიდიაო“.

ეს კანონპროექტი არცთუ შორეულ წარსულს გვახსენებს. ჯერ იყო და, 2004 წლის აგვისტოში ეროსი კიწმარიშვილმა „რუსთავი 2“-ის გაკოტრებაზე შეიტანა საბუთები – შემოსავალი აღარ გვაქვს და 9 მილიონიან ვალს ვერ ვფარავთო. მაშინ ვალები ჯერ რესტრუქტურიზაციაზე გაუშვეს და შემდეგ რა ბედი ეწია ამ ვალს, უცნობია. 2010-2012 წლებში კი, იმავე „რუსთავი 2“-ს, მერაბიშვილის პრემიერობის დროს, ჯამში 24.983.688 ლარის დავალიანება ჩამოეწერა.

მსგავსი რამ მოხდა 2005 წლის თებერვალში. მაშინ ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ზურაბ ნოღაიდელი კი პრემიერი და ნინო ბურჯანაძის მამის, ანზორ ბურჯანაძის კომპანიას 11 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოაწერა, საუბარია ფქვილის ბიზნესში არსებულ კომპანიაზე. როგორც ნოღაიდელი ამბობდა უიმედო ვალი იყო და იმიტომ გავაკეთეო.

ახლა კონკრეტულ ფაქტებს ვერ ვიხსენებთ, თორემ იმ პერიოდში ძალიან ბევრჯერ დაგვიწერია, სწორედ ბიუჯეტის დავალიანების გამო მეწარმეებს ციხეებში რომ ყრიდნენ და სახლკარს უყიდიდნენ. ასეა, ხელისუფლებასში თუ ხარ, ან ხელისუფლებასთან დაახლოებული, ყველაფრის „ჩალიჩი“ შეიძლება.

ამის მერე ვინც კიდევ გვეტყვის, გადასახადები პატიოსნად იხადეთო, იმის.....!!!!!!

**ახლა რასთან გვაქვს კონკრეტულად საქმე? მიიღებს თუ არა პარლამენტი ამ კანონპროექტს? წავა კი ასეთ რისკზე ხელისუფლება წინასაარჩევნოდ?**

**„ალიას“ უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

# ამის მერე ვინც კიდევ გვეტყვის, გადასახადები პატიოსნად იხადეთო, იმის.....!!!!!!



**„რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ მოთხოვნები სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგრამ, თუ ადმინისტრაციული სასჯელები გაუქმდება ნაწილობრივ, ეს შეიძლება მოსახლეობისთვის დიდი შეღავათი იყოს... იმას ვგულისხმობ, რომ ძალიან ბევრს აქვს დაგროვილი ჯარიმები, საურავები, როცა მოძრაობის წესებს არღვევენ, ან „სითი პარკი“ აჯარიმებს და ასე შემდეგ“**

**„ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკური დანაშაული ძალიან ბევრს აქვს ჩადენილი, გადასახადების გადაუხდელობის გამო ძალიან ბევრია გაჩერებული, ვერ საქმიანობს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბევრს აპატიეს, მათ შორის, 27 მილიონი ლარი „რუსთავი 2“-ს და 3 მილიონი დანარჩენ ტელევიზიებს. მაშინ რა დააშავა იმ მედიასაშუალებამ თუ პიროვნებამ, რომელიც პატიოსნად მუშაობდა და გადასახადებსაც იხდიდა?“**

– თუ საკითხს ოფიციალური კუთხიდან მივუდგებით, „ნაციონალებს“ ამ მოთხოვნების დაყენების უფლება აქვთ, ნებისმიერ დეპუტატს შეუძლია, შევიდეს საკანონმდებლო ინიციატივით, მაგრამ მერე კომიტეტებში განიხილავენ თუ სესიაზე გაიტანენ, ეს სხვა საკითხია.

**— ინიციატივა გასაგებია, მაგრამ აქ საუბარია „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებაზე, რამდენად მორალურია ეს თამაში?**

– კი, ბატონო, აქ „ნაციონალები“ იყენებენ სწორედ „ქართული ოცნების“ სისუსტეს, როდესაც ადამიანს ვერ ან არ ასამართლებ, ის დამნაშავედ არ ითვლება. რამდენიც არ უნდა იძახო, „ბადაგონი“ დალვარე, ბიზნესს ატერორებდი, ხალხი დახოცეო, სანამ განაჩენი არ დადგება, ეს ხალხი მაინც უდანაშაულოდ ითვლება. თუ სამართლებრივად არ დასჯი დამნაშავეებს, ეს ყველაფერი ისევ დარჩება პოლიტიკური შეფერილობის განცხადებებად. რაც შეეხება მორალურ მხარეს, ე.წ. ოპოზიციას სულ არ ადარდებს და არც პასუხისმგებლობა აკისრია, ესენი აწვებიან თავიანთი გადასახედიდან და ცდილობენ, შეირჩინონ ის, რაც დააშავეს, ანუ რაც მოიპარეს. „ნაციონალები“ ცდილობენ ორი კურდღლის დაჭერას, ერთი მხრივ, თავი უნდა დაიძვრინონ, მეორე მხრივ – ხალხის გარკვეულ ნაწილს უნდა ასიამოვნონ წინასაარჩევნოდ, რათა ქულები დაიწერონ.

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკური დანაშაული ძალიან ბევრს აქვს ჩადენილი, გადასახადების გადაუხდელობის გამო ძალიან ბევრია გაჩერებული, ვერ საქმიანობს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბევრს აპატიეს, მათ შორის, 27 მილიონი ლარი „რუსთავი 2“-ს და 3 მილიონი დანარჩენ ტელევიზიებს. მაშინ რა დააშავა იმ მედიასაშუალებამ თუ პიროვნებამ, რომელიც პატიოსნად მუშაობდა და გადასახადებსაც იხდიდა? კი, ბატონო, შეიძლება რაღაც-რაღაცების მოხსნას მეც მივესალმო, რაც ტვირთად აწევს მოსახლეობას, მაგრამ სერიოზულ დანაშაულზე ეს არ უნდა გავრცელდეს. თან „ნაციონალები“ ასახელებენ 2013 წლის იანვარზე, ესეც იმაზე მიანიშნებს, რომ მხოლოდ ის პერიოდი აინტერესებთ, როცა თვითონ განაგებდნენ ეკონომიკასაც და ფინანსებსაც, მომპარავებიც თვითონ იყვნენ და დამმალავებიც.

**— ბუნებრივია, თუ „ნაციონალები“ თავიანთ მომხრეებს ასიამოვნებენ, სამაგიეროდ გააღიზიანებენ პატიოსან ადამიანებს. მე არ ვლაპარაკობ შეცდომებზე და „ნაციონალების“ მიერ გამწარებულ ხალხზე, ვინც უსამართლოდ დაატერორეს და რაღაც დანაშაულში ჩაითრიეს, ეს სხვა საკითხია, ამას პროკურატურამ უნდა მიხედოს. „რუსთავი 2“-ს და მისთანებს ყველაფერი აპატიონ და მე ბიუჯეტის სახელით გამწეწონ?**

– რასაკვირველია, სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, ასეა. ამას მოჰყვება მეორე პრობლემა, თუ ეკონომიკურ დანაშაულზე გამოვაცხადებთ სრულ ამნისტიას, მაშინ ციხეში ვინც ზის და სასჯელს იხდის, ის მოგადგება და გეტყვის, მაშინ მე რისთვის ვზივარ, რისთვის დავისაჯე, თუკი დამნაშავეებს ყველაფერს პატიობ? ვინც სასჯელი მოიხადა, იმასაც გაუჩნდება პრეტენზიები და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ მოთხოვნები სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგრამ, თუ ადმინისტრაციული სასჯელები გაუქმდება ნაწილობრივ, ეს შეიძლება მოსახლეობისთვის დიდი შეღავათი იყოს.

**— კონკრეტულად რას გულისხმობ?**

– იმას ვგულისხმობ, რომ ძალიან ბევრს აქვს დაგროვილი ჯარიმები, საურავები, როცა მოძრაობის წესებს არღვევენ, ან „სითი პარკი“ აჯარიმებს და ასე შემდეგ.

**— როგორ ფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ რაღაც დოზით მაინც დაიყოლიებენ?**

– მე ვფიქრობ, განხილვები გაგრძელდება და შეიძლება ყველაფერი ჩამოვიდეს ადმინისტრაციული ჯარიმების გაუქმებამდე. მიიღებენ ისეთ ვარიანტს, რომელიც, ალბათ, „ოცნებასაც“ უნდა აწყობდეს. განურჩევლად ყველაფრის პატიებაზე ეს ხელისუფლება არ უნდა წავიდეს და არც წავა.

**— „ნაციონალები“ ასევე ითხოვენ, რომ კერძო კომპანიებში სახელმწიფო სამსახურებს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შესვლა აეკრძალოთ.**

– ამის გაკეთება შეიძლება, სამწუხაროდ, დღეს დიდ კომპანიებში სახელმწიფო სამსახურებს შეუძლიათ სასამართლოს სანქციის გარეშე შესვლა. ბიზნესი მაინც დაცული უნდა იყოს, რომ უპრაგონოდ არავინ შემოგივარდეს. რაც შეეხება მაღაზიებსა თუ სხვა წვრილ-წვრილ ობიექტებში შესვლას და დარღვევებზე ჯარიმების გამოწერას, აქ სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი იქნება, საგადასახადოს თანამშრომლები ყოველ წუთს სასამართლოში ვერ ირბენენ. სანქცია საჭირო უნდა იყოს მაშინ, როცა კომპანიებში შემოწმებაზე შედიან. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „ნაციონალებს“ ვინმეს ბედი აინტერესებდეთ, გარდა საკუთარი თავისა, მაგრამ თან ცდილობენ, ხალხის რაღაც ნაწილის გული მოიგონ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 3 მილიონის სკანდალი — „ეს სქემა სწორედაც დაიგეგმა წყალმომარაგების კომპანიის მაღალი თანამდებობის პირების მიერ“




წყალმომარაგების კომპანიიდან 3 მილიონამდე ლარის მითვისების საქმეზე მსჯავრდადებული თამარ ფხოველიშვილისა და მისი მეუღლის ზურაბ ნუცუბიძის ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი სამართლებრივ გეგმებზე საუბრობს და განმარტავს, რომ დაცვის მხარე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ადვოკატი იმედოვნებს, რომ ობიექტური გამოძიების პირობებში წყალმომარაგების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

– ჩვენ აუცილებლად აღნიშნულ განაჩენს გავასაჩივრებთ ზემდგომ ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გახლავთ ის გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება უწოდო კანონის უზენაესობა, რადგანაც მივიჩნევთ, რომ სხდომაზე გამოკვეთილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა გარკვეული გარემოებები, როგორც თამარ ფხოველიშვილთან, ასევე, მის მეუღლესთან დაკავშირებით. ჩვენ იმედის ვიტოვებთ, რომ ობიექტური გამოძიების პირობებში აუცილებლად საზოგადოება იხილავს სხვა ადამიანებსაც, მათ შორის, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული წყალმომარაგების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. აქ არის საუბარი ყოფილ ხელმძღვანელებზე. ეს არის 2013-2014 წლების პერიოდი. ამ პერიოდში მოხდა უკანონო თანხების გადინება კომპანიიდან. მერწმუნეთ, რომ მხოლოდ მთავარი ბუღალტერი ამას უბრალოდ ვერ შეძლებდა, კომპანიაში არსებული სისტემებისა და მექანიზმებიდან გამომდინარე, ვგულისხმობ კონტროლს. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ ობიექტური გამოძიების პირობებში შესაძლებელია, ალბათობის მაღალი ხარისხით დადგეს იმდროინდელ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი და შემდგომში, ალბათ, გაირკვევა, სად მიჰქონდათ ეს ფული და ვისთან. რაც შეეხება თამარ ფხოველიშვილს, ეს განცხადება არ იყო, ეს იყო ჩვენება, რაც მან სასამართლოს მისცა. შესაბამისად, დასკვნითი სიტყვის დროსაც ისაუბრა აღნიშნულთან დაკავშირებით, ეს არის ის პოზიცია, რომელიც ამ ადამიანმა დააფიქსირა. შესაბამისად, როგორც მან განუმარტა საზოგადოებას და სასამართლოს, იმ სქემაში, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც თვითონ იყო, ეს სქემა სწორედაც დაიგეგმა წყალმომარაგების კომპანიის მაღალი თანამდებობის პირების მიერ. ძიების პროცესშივე თამარ ფხოველიშვილმა მისცა ჩვენება, მაგრამ მიუხედავად ამ ჩვენებისა, როგორც გამოჩნდა, საბოლოოდ ბრალდების მხარემ ვერ დაადგინა სხვა პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, ეს საქმე წარიმართა და გამოყოფილ იქნა ამ სასამართლოში წარმართული საქმიდან ცალკე საქმე და როგორც ბრალდების მხარე აცხადებს, აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, იყო ვალდებული და არის ვალდებული ამ შემთხვევაში მაქსიმალურად დაინტერესდეს ყველა იმ გარემოებებით, რასაც მას სხვადასხვა მტკიცებულებები აძლევს, როგორც დოკუმენტური, ასევე, რა ჩვენებებსაც აძლევენ სხვადასხვა მოწმეები, – განაცხადა მერაბ ჩიქოვანმა.

ცნობისთვის თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზების ფაქტზე ბრალდებულები თამარ ფხოველიშვილი, ზურაბ ნუცუბიძე და ნათია ნავროზაშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. თამარ ფხოველიშვილსა და ზურაბ ნუცუბიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ, ხოლო ნათია ნავროზაშვილს სასჯელის სახით დაენიშნა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 2 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 35 წლის ქალი საკუთარი სახლის სხვენში ჩამომხრჩვალი იპოვეს



თვითმკვლელობის ფაქტი ქუთაისში. 35 წლის ქალი საკუთარ სახლის სხვენში ჩამომხრჩვალი იპოვეს. შემთხვევა, ჭავჭავაძის გამზირზე მოხდა. მეზობლების ინფორმაციით, გარდაცვლილს ქმარი და ორი შვილი დარჩა.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (kvira.ge)

## დევიდ კემერონმა ევროკავშირს ულტიმატუმი წაუყენა



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი ევროკავშირიდან ქვეყნის გამოსვლას არ გამორიცხავს. პრემიერის თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროკავშირის ლიდერები ორგანიზაციის რეფორმირების მისეულ გეგმას არ გაითვალისწინებენ და ნაციონალურ პარლამენტებსა და მთავრობებს მეტ უფლებამოსილებას არ მისცემენ.

2017 წლის ბოლომდე დიდ ბრიტანეთში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ევროკავშირში წევრობის საკითხზე. ეს კონსერვატორების საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი დაპირება იყო მიმდინარე წლის მაისში გამართულ არჩევნებზე.

კემერონმა ოთხი ძირითადი პუნქტი ჩამოაყალიბა, რომელიც ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის დარჩენის წინაპირობაა: 1. გაერთიანებული სამეფოს და იმ ქვეყნების შიდა ბაზრის დაცვა, რომლებიც ევროს ზონაში არ შედიან. 2. კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. 3. დიდი ბრიტანეთის განთავისუფლება ევროკავშირში უფრო მჭიდრო ინტეგრაციის ვალდებულებისგან. 4. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მიგრანტებისთვის საგადასახადო შეღავათებისა და შემწეობების გაუქმება.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ბოლო პუნქტის შესრულება ყველაზე რთული იქნება, თუმცა, პირველ რიგში, სწორედ ამ ვალდებულების შესრულებას მოითხოვს დევიდ კემერონი. (kvira.ge)

## გიორგი უძილაური მიხეილ სააკაშვილს: თქვენი ხელმწიფობის დროს ამ ქვეყანას დააკლდა ტერიტორიების დიდი ნაწილი და ბევრი სიცოცხლე



ჟურნალისტი გიორგი უძილაური საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სოციალური ქსელის მეშვეობით მიმართავს:

– სააკაშვილს უთქვამს სახელმწიფოს შემქმნელისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ღორობააო!

Пан Миколо, ეს სახელმწიფო თქვენ არ შეგიქმნიათ. თქვენი ხელმწიფობის დროს ამ ქვეყანას დააკლდა ტერიტორიების დიდი ნაწილი და ბევრი სიცოცხლე და შეემატა პრეზიდენტის რეზიდენცია, ჭაჭის კოშკი... და 700 000 ნასამართლევ-პრობაციონერი მოქალაქე, რომელთა წინაპრებიც, გადარჩენილი მოქალაქეების წინაპრებთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ და აკოწიწებდნენ ქვეყანას, მაგრამ არა იმ სამარცხვინო პერიოდისთვის, რომელიც თქვენს, ამჟამად უკრაინაში დეზერტირებულ პერსონასთანაა დაკავშირებული. ქმნიდნენ შთამომავლებისთვის, რომლებიც იცხოვრებდნენ ნორმალურ სახელმწიფოში. ნორმალური სახელმწიფო ისაა, სადაც კონსტიტუცია არის თანასწორად უზენაესი კანონი და არა „ღორობა“. ღორობის მაგალითები უკვე საკმარისად ვნახეთ თქვენს მმართველობაში, – წერს უძილაური. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოზარ სუბარი — სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ოთხ წელში 12 ტელეკომპანიიდან 11-ს მფლობელები შეეცვალა



– სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან 4 წლის განმავლობაში მაშინ მოქმედი 12 ტელეკომპანიიდან 11-ს აბსოლუტურად შეეცვალა მფლობელები, – ამის შესახებ სოზარ სუბარმა განაცხადა.

რაც შეეხება პარლამენტის უმრავლესობის განცხადებას მოსამართლეების აცილების თაობაზე, სოზარ სუბარის თქმით, ამ შემთხვევაში პარლამენტი მმართველი ძალა კი არ არის, არამედ არის მხარე სასამართლო პროცესზე.

– ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, დააყენოს ვილაცის აცილების საკითხი, თუ მიაჩნია, რომ ის მიკერძოებულია. სასამართლოს გადასაწყვეტია, ამ აცილებას შეასრულებს, თუ არა. აქ არაფერი პოლიტიკური არ არის. ეს არის სამართლებრივი დავა. როცა საუბარია მოსამართლე ურთმელიძეზე, ამ შემთხვევაში პარლამენტი მხარე არ იყო, ხოლო როცა ლაპარაკია საკონსტიტუციო სასამართლოზე, ამ შემთხვევაში პარლამენტი არის მხარე, რადგან პარლამენტია სწორედ მოპასუხე. შესაბამისად, მე არც იმ და არც ამ შემთხვევაში არ მაქვს უფლება, გავაკეთო განცხადება, მაგრამ პარლამენტს იმ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლება და ამ შემთხვევაში უფლება კი არა, ვალდებულებაც აქვს, თუ მიაჩნია, რომ რაღაცა არასწორია, ეს უნდა თქვას, რადგან მხარეა. სასამართლოს გადასაწყვეტია, შეასრულებს თუ არა პარლამენტის მოთხოვნას. ამ მხრივ, ზეწოლა სასამართლოზე შეუძლებელია, – განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნას, სოზარ სუბარის თქმით, ის არ აპირებს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებაში შევიდეს, თუმცა მინისტრს მიაჩნია, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ნამდვილად არ იყო.

– თუ პოლიტიკურ შეფასებებსა და გადაწყვეტილებებზე ვლაპარაკობთ, სხვათა შორის, მე ამოვიღე ჩემი მოხსენებები. მაინტერესებდა 2007-2008 წლებში რას ვწერდი მაშინ მიმდინარე პროცესებზე და პირდაპირ მაქვს ასეთი ფრაზა დაწერილი, რომ ის, რაც ხდებოდა „რუსთავი 2“-თან, „მზესთან“, რამდენიმე სხვა ტელეკომპანიასთან დაკავშირებით, იყო რეკეტი, განხორციელებული სახელმწიფოს მხრიდან. ახლა იგივე განცდა ნამდვილად არ მაქვს იმიტომ, რომ მაშინ მოხდა ერთი რამე – სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან 4 წლის განმავლობაში მაშინ მოქმედი 12 ტელეკომპანიიდან 11-ს აბსოლუტურად შეეცვალა მფლობელები, ზოგს – რამდენჯერმე და ყველა ყოფილი მფლობელი აცხადებდა, რომ მათ ძალით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ან მინიმალური ანაზღაურებით წაართვეს. ახლა ლაპარაკია, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, რომ მათ ადრე წაართვეს, დაობენ სასამართლოში, – განაცხადა სუბარმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ამაზე ცინიკური რა შეიძლებოდა ყოფილიყო?“ — რატომ მიაკითხა სოფო ნიჟარაძეს სუს-მა



მომღერალი სოფო ნიჟარაძე ხმის ნიმუშის ჩაბარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიბარეს. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში თავად სოფო ნიჟარაძე ავრცელებს:

– საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე გაისმა ზარი ჩემს კარზე, გავაღე კარი და დამხვდა უშიშროების სამსახურის ორი წარმომადგენელი ახალი უწყებით ხელში, ხმის ნიმუშის ჩაბარებასთან დაკავშირებით. ამაზე ცინიკური რა შეიძლებოდა ყოფილიყო? სიმღერა ხომ ამიკრძალეს, ახლა თურმე ერთადერთი ადგილი საქართველოში, სადაც ჩემი ხმა აინტერესებთ, უშიშროების სამსახურია! შეგიძლიათ, ჩემს დისკებს მოუსმინოთ, ბატონებო, რთული არ იქნება შედარება, შეადარეთ, თან ხარისხიან მუსიკასაც მოისმენთ! – წერს სოფო ნიჟარაძე „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

**ანალოგიური მოთხოვნა გამოძიებამ გიგა ბოკერიასა და ნუგზარ წიკლაურსაც წაუყენა, თუმცა ორივე ხმაშეწყობილად იმას ამბობს — ხმის შემოწმება მასკარადია და ქინძები ვიყოთ, არსად მისვლას არ ვაპირებთო.**

## აზერბაიჯანში ადამიანებით დღემდე ვაჭრობენ!



მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში აზერბაიჯანში ადამიანებით ვაჭრობის 103 ფაქტი დაფიქსირდა. სააგენტო „აპას“ ინფორმაციით, ამის შესახებ აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ილკინ გურბანოვმა განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოვლენილია შრომის იძულების 7 შემთხვევა.

გურბანოვის ინფორმაციით, ამ დანაშაულთან დაკავშირებით 26 ადამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა დაზარალებულს ფულადი კომპენსაცია გადაეცა და „სხვა ღონისძიებები“ გატარდა. (kvira.ge)

# „თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ბოლომდე უარი თქვა ხელისუფლებამ, ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები...“ — რატომ შეუერთდნენ „ახალი მემარჯვენეები“ „პატრიოტთა ალიანსის“ შიმშილობის აქციას

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80





ინტერნეტსივრცეში ახალი ამბავი გავრცელდა – მოშიმშილე „პატრიოტთა ალიანსს“ „ახალი მემარჯვენეებიც“ შეუერთდნენო.

**რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება „მემარჯვენეებმა“, ამ საკითხზე „ალიას“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერი მამუკა კაციტაძე ესაუბრება:**

– მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ შიმშილობის დაწყების თაობაზე, სახელმწიფო კანცელარიასთან, საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით, ჩვენ მივედით და სოლიდარობა გამოვუცხადეთ, ერთის მხრივ, მოშიმშილე ადამიანებს, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ძალას, რომელიც საარჩევნო სისტემის შეცვლისთვის იბრძვის ამ ფორმით.

**— თქვენთვის მისაღებია პროტესტის ასეთი ფორმა? ეს შედეგის მომტანი იქნება? თქვენს პარტიას ადრეც მიუმართავს შიმშილობისთვის, თუმცა შედეგი მიუღია რამე?**

– მე, მამუკა კაციტაძეს, იმავე მოთხოვნით „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, ზუსტად 16 დღე მაქვს ნაშიმშილევი, ჩემს თანაპარტიელებთან და სხვა პოლიტიკოსებთან ერთად და მიმაჩნია, რომ ამ ტიპის აქტივობას სოლიდარობა სჭირდება. რაც შეეხება იმას, რომ აქციას შევუერთდით, ეს არის ინტერპრეტაცია და არ არის სიმართლე. ჩვენ სოლიდარობა გამოვუცხადეთ „პატრიოტთა ალიანსს“.

რაც შეეხება აქციის შედეგიანობას – პოლიტიკური ბრძოლის არსენალში არსებობს პროტესტის სხვადასხვა ფორმები, არსებობს სატელევიზიო გამოსვლები, სტატიები, ბრიფინგი, მიტინგი, ბოიკოტი არჩევნებს, ბოიკოტი საპარლამენტო სხდომებს, საკრებულოს სხდომებს... გააჩნია, ვინ სად არის და ვის რა შეუძლია. მაგრამ როცა ხელისუფლება შეუვალია და პრინციპულად იცავს თავის პოზიციას, ასეთ დროს მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ძალისხმევა, ასეთ დროს საჭიროა გაერთიანება – პოლიტიკოსების, ექსპერტების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების... ამ შიმშილობას რა თქმა უნდა, აქვს აზრი. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში და მოუწევს დათმობაზე წასვლა.

**— რა ვიცი, აქამდე რომელი ხელისუფლება წასულა დათმობაზე შიმშილობის გამო?**

– გარკვეული შედეგი აუცილებლად იქნება. თუ ზოგი პარლამენტში შექმნის პრობლემას, ზოგი საკრებულოში, ზოგი სხვადასხვა ტიპის გზებს მიმართავს, მათ შორის შიმშილობის აქციებს, ასე ხელისუფლებას დავტოვებთ ერთ მხარეს და კიდევ უფრო გაიზრდება ცვლილებების გატარების შანსი.

**— თუ ასეთ შედეგის მომტანად მიგაჩნიათ შიმშილობის აქცია, მაშინ რატომ შემოვიფარგლებით მარტო სოლიდარობის გამოცხადებით ან თავად რატომ არ დაიწყეთ შიმშილობა პირველებმა?**

– 8 ნოემბერს ჩვენ 12-მა პოლიტიკურმა პარტიამ, თვე-ნახევრის წინ დაწყებული, დაპირებული 240 ათასი ხელმოწერა შევიტანეთ პარლამენტში, დავდეთ და მივმართეთ პარლამენტს, რომ დაიწყონ საკონსტიტუციო ცვლილების პროცედურა.

**— საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართული ოცნებისაა“ და რას ელით სასიკეთოს?!**

– გასაგებია, რომ უმრავლესობა „ოცნებისაა“, მაგრამ 240 ათასი შენი თანამოქალაქე რომ კონკრეტულ პოზიციას აფიქსირებს საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, ეს უკვე ძალის დემონსტრირებაა, საზოგადოებრივ განწყობას ატყობინებს. ჩვენ შეუვალი და არდამთმობი ხელისუფლებები გვახსოვს, მაგრამ გვახსოვს მათი ფინიშებიც. ეს არის ბრძოლის ეტაპი, უბრძოლველად კი არაფერი არ მოდის.

**— თუ ამ ხელმოწერების შედეგადაც არაფერი არ შეიცვლება, რას აპირებთ? გაქვთ რაიმე გეგმა შემუშავებული?**

– გვაქვს გეგმაც – თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ბოლომდე უარი თქვა ხელისუფლებამ და არავის ხმას არ შეისმენს, არც მოშიმშილეების და არც არამოშიმშილეების, ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები, რომლებსაც მივმართავთ და არ დასრულდება ეს გაზაფხულის ბოლომდე.

**— და დრო გადის. არჩევნები მოგვადგა კარს...**

– რჩება დრო, რჩება. ყველაფერი, რასაც ჩვენ მოვიმოქმედებთ, კანონთან შესაბამისობაში იქნება და ბოდიში ახლა თუ გეგმა 2-სა და გეგმა 3-ზე ვერ ვსაუბრობ.

# „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი მებრძოლები: „საქართველოს მომავალზე რომ არ ფიქრობდით და ყალბ ისტორიაზე ილუზიებს აგებდით, მაშ დაელოდეთ პასუხს მუსლიმანებისგან, რომელიც ძალზე მკაცრი იქნება“



ინტერნეტსივრცეში „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში გაწევრიანებული ქართველი მებრძოლების ორი განცხადება გავრცელდა.

ერთ-ერთი სამუფტოს ყოფილ იმამ მურმან პაიჭაძეს (აბუ ასია ალ-ჯურჯის) ეკუთვნის, რომელიც როგორც მასალიდან ირკვევა, ამჟამად ახლო აღმოსავლეთში, „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

პაიჭაძე აცხადებს, რომ 10 წლის განმავლობაში სამუფტოს იმამი იყო და „ეგონა, რომ ისლამურ გარემოში ცხოვრობდა“, თუმცა „აზროვნება შეეცვალა, როცა დაინახა, რომ ადგილობრივი სასულიერო პირები ძვირად ღირებული ავტომობილებით გადაადგილდებიან და ისლამის საწინააღმდეგო ქმედებებს სჩადიან“.

– დღეს აქ ვარ, ისლამურ ხალიფატში, რომელიც მუსლიმანთა ბედნიერების, თავისუფლების, მშვიდობის და ერთიანობის სახელმწიფოა, სადაც ასამდე ეროვნებისა და ენის ხალხია ერთ მუშტად შეკრული და ნამდვილი ისლამური ძმობაა, – აცხადებს პაიჭაძე.

იგი მოუწოდებს ქართველებს, გადასახლდნენ ე.წ. სახალიფოში და აკრიტიკებს ქართველ მუსლიმან სასულიერო პირებს იმის გამო, რომ „ადგილობრივ მუსლიმანებს ქრისტიანებისგან არ იცავენ“.

პაიჭაძე ირწმუნება, რომ ადრე თუ გვიან, სახალიფო საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდება და აკრიტიკებს ხელისუფლებას მუსლიმანურ ქვეყნებში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნის გამო. პაიჭაძის თქმით, პასუხი ამ ყველაფერზე „ძალზე მკაცრი იქნება“.

– საქართველოს მომავალზე რომ არ ფიქრობდით და ყალბ ისტორიაზე ილუზიებს აგებდით, მაშ დაელოდეთ პასუხს მუსლიმანებისგან, რომელიც ძალზე მკაცრი იქნება.

ეს პროცესი შეუქცევადია და ალლაჰის ნებით მოვალთ საქართველოშიც და დამყარდება სამყაროს გამჩენისა და ბატონ-პატრონის, უზენაესი ალაჰის კანონები, – აცხადებს პაიჭაძე.

მეორე განცხადება ეკუთვნის ვინმე აბუ მარიამ ალ-ჯურჯის, ასევე ეთნიკურ ქართველს, რომელიც, პაიჭაძის მსგავსად, ამჟამად „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანებული.

განცხადებაში აღნიშნული პიროვნება მიმართავს საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს და მოუწოდებს მათ, „სანამ გვიანი არ არის, სიმართლე დაინახონ“ და ე.წ. სახალიფოში გადასახლდნენ.

– ჩემო ძვირფასო მუსლიმანებო, ჩვენ მართლა ხალიფატში ვცხოვრობთ, ჩვენ მართლა ყურანით ვცხოვრობთ, ჩვენ ხომ ეს გვინდოდა? მივაღწიეთ ჩვენს წადილს, თქვენც ხომ ეგ გინდათ? მოდით ჩვენთან და თქვენი თვალით ნახეთ, რა ხდება აქ და როგორ ვცხოვრობთ ჩვენ ისლამურ სახელმწიფოში, დაანებეთ თავი მაგ ლაზღანდარების მოსმენას, თქვენი თვალით ნახეთ სიმართლე და ნურაფრის შეგეშინდებათ, ალაჰს მიენდეთ, აქ თქვენ არავინ მოგექცევათ უსამართლოდ, – აცხადებს ის. (accent.com.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# გაფრთხილება მგზავრებს! აეროპორტებში ახალი ტიპის თაღლითობაა!



განვითარებად ქვეყნებში, სადაც ჩვენი ტურისტები მრავლად არიან, თაღლითობები საკმაოდ ხშირია, მაგრამ გამოცემა EliteReaders თაღლითობის ახალი მეთოდის შესახებ ყვება – ეს არის „ფულის ამოღება მიმნდობი ტურისტებისგან“, რომელიც მოიფიქრეს ninoy aquino-ს აეროპორტის თანამშრომლებმა მანილაში (ფილიპინები).

Lifter-თვის ცნობილია, რომ ეს ხერხი გავრცელებულია ეგვიპტეშიც, ამიტომ სავარაუდოა, რომ თაღლითობის ამ სახეს სხვა ქვეყნებშიც იცნობენ. მანილაში ამ მეთოდს „ტანიმ-ბალას“ უწოდებენ და მისგან ტურისტებს ვერც პოლიცია და ვერც ვიდეოკონტროლი ვერ იცავს. არსი იმაში მდგომარეობს, რომ ტურისტებს ბარგში შეუმჩნევლად უგდებენ ტყვიას, მერე „აღმოაჩენენ“ მას და ფულს სძალავენ დამსვენებლებს, ისინიც იხდიან, რათა დაბრკოლებები თავიდან აიცილონ და რეისზე არ დააგვიანდეთ.

ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ ამ მაქინაციას ადგილობრივი დანაშაულებრივი სინდიკატი მფარველობს. ასე რომ, სიმართლის დამტკიცებას ვერავინ შეძლებს. განსაკუთრებით რისკის ქვეშ არიან დამაკავშირებელი რეისების მგზავრები, რადგან მათ ბარგს აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლები ისე ამოწმებენ, რომ თავად იქ არ იმყოფებიან, ამას ემატება საშინელი დაღლილობაც.

როგორ ირჩევენ მსხვერპლს? თაღლითები „დეტექტივების“ სამსახურით სარგებლობენ, რომლებიც ამოარჩევენ ჩემოდანს და ტყვიას ჩააგდებენ, მერე ადვილად „აღმოაჩენენ“ და შემდგომი პროცესი უკვე რამდენიმე წამი გრძელდება, რომელიც ქრთამის აღებით სრულდება, მერე აღებულ ფულს ოპერატორი და „დეტექტივი“ იყოფენ და ასე ყოველდღე ასობით დოლარს შოულობენ.

„ბარგის შემოწმების სამსახურის თანამშრომლებს დაბალი ხელფასები აქვთ, მაგრამ აქვთ დიდი სახლები, მანქანები, მათი შვილები კერძო სკოლებში დადიან, მოგზაურობენ საზღვარგარეთ და ჰყავთ ახალგაზრდა ცოლები“, – ამბობს წყარო.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ არ ატარებენ აეროპორტის წარმომადგენლები გამოძიებას და არ ამხელენ ამ თაღლითობას? მაგრამ პასუხი არ არის. ფილიპინების სამოქალაქო ავიაციის სპიკერი ერიკ აპოლონიო მხოლოდ რჩევას აძლევს მგზავრებს და ამბობს, რომ არასდროს გამორჩეთ ბარგი თვალთახედვის არიდან და ჩაკეტონ ყველა ჩასაკეტით. (postalioni.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურებაში ბრალდებული ქუთაისის ციხეში 30 დღეა შიმშილობს



ქუთაისის მე-2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი პეტრე ფუტკარაძე ერთი თვეა, შიმშილობს.

როგორც პატიმრის უფლებადამცველი დალი სულაქველიძე აცხადებს, მან მისი დაცვის ქვეშ მყოფი გუშინ მოინახულა, რომელსაც დაზიანებებიც აღენიშნება.

ადვოკატის თქმით, ფუტკარაძე უმძიმეს მდგომარეობაშია და მას ციხის ადმინისტრაციიდან არანაირი ყურადღება არ ექცევა.

– 30 დღეა, შიმშილობს, საშინელ მდგომარეობაშია. დაზიანებებიც აქვს სახის არეში. ციხის ადმინისტრაციისგან კი ყურადღებას ვერ ვგრძნობთ. მოვითხოვ, ციხის ადმინისტრაციამ სათანადო ყურადღება გამოიჩინოს და პატიმრის მდგომარეობით დაინტერესდეს, – აცხადებს ადვოკატი დალი სულაქველიძე.

ცნობისთვის, პატიმარ ფუტკარაძეს იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მცირეწლოვნის გაუპატიურება ედება ბრალად, თუმცა, ადვოკატის თქმით, რამდენიმეჯერ ჩატარებული ექსპერტიზის მიუხედავად, ბავშვს არც გაუპატიურება და არც ძალადობის არანაირი კვალი არ დაუდგინდა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# აჰა, „შუსუსუში“ ვიღაცას წითელი აენთებააა...



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი თანამდებობიდან განთავისუფლდა.

– ქალაქ თბილისის პროკურატურამ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გამოძიება დაიწყო. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია, 2015 წლის 10 ნოემბრიდან გამოძიების დასრულებამდე, განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბრიუსელის სასამართლომ „ფეისბუკს“ 48 საათი მისცა იმისთვის, რათა მან მომხმარებლების თვალთვალი შეწყვიტოს



ბრიუსელის სამოქალაქო სასამართლომ „ფეისბუკი“ დაავალდებულა, რათა მან 48 საათში შეწყვიტოს მომხმარებელთა თვალთვალი და მათი მონაცემების დამუშავება. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „ფეისბუკი“ ყოველ დაგვიანებულ დღეზე 250 ათას ევროს ოდენობით ჯარიმას გადაუხდის ბელგიის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კომისიას.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივნისში კომისიამ სარჩელი შეიტანა „ფეისბუკის“ წინააღმდეგ საკუთარი გამოძიების საფუძველზე, რომელმაც დაადგინა, რომ მსოფლიოში უდიდესი სოციალური ქსელი არა მხოლოდ იგებს და ამუშავებს იმ თავისი მომხმარებლების მონაცემებს, რომლებსაც პროფილში ტრეკინგის ფუნქცია აქვს გამორთული, არამედ იმათ მონაცემებსაც, ვისაც საერთოდ არ გააჩნია პროფილი. საპასუხოდ „ფეისბუკის“ იურისტებმა ბელგიურ კომისიას გამოძიების მასალებში „არსებული უზუსტობების“ შესახებ მიუთითეს და მათი განხილვა შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. (ალიონი.ინფო)

## რაზე ისაუბრა ქუმსიშვილმა ივანიშვილთან — მინისტრის კომენტარი



ექსპრემიერთან შეხვედრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი გამოეხმაურა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის მთავარი საკითხი საქართველოში საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება იყო.

– მე მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრა, ჩვენ განვიხილეთ ძალიან მნიშვნელოვანი თემა. მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკის სამინისტრომ დაიწყო ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელმაც მთელი საქართველო უნდა დაფაროს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით. ერთადერთი ქველმოქმედი, რომლის გარეშეც, რეალურად, ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა საქართველოში, გახლავთ ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მე ამ თემაზე მქონდა მასთან შეხვედრა. რეალურად, ეს არის პროექტი, რომელმაც 15-20 წლით წინ უნდა წაწიოს ჩვენი ქვეყანა.

პროექტის ღირებულება, დღევანდელი გათვლებით, არის 125 მილიონიდან 150 მილიონ დოლარამდე, რასაც ბატონი ბიძინა აბსოლუტურად უანგაროდ გვაძლევს, რათა ეს მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ. ჩვენი შეხვედრის ძირითადი სასაუბრო თემა ეს იყო, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა. (ნიუპოსტი)

**ჰოდა, კაცო, ასეთი კარგი და მაგარი პროექტი თუ გაქვთ, ხალხმა არ უნდა იცოდეს? და ხალხმა როგორ უნდა გაიგოს? მოდით ჩვენთან, დავილაპარაკოთ რეკლამაზე და აგიხსნით ყველაფერს! აბა, ასე შემთხვევით უნდა ვიგებდეთ ასეთ ამბებს? არავითარ შემთხვევაში!..**

# ზაზა ხატიაშვილი: „365 ადვოკატი დაჯდება სამწუხაროა, რომ ეს ხელისუფლება

## რატომ გააგრძელეს 48 საათიანი ულტიმატუმის ვადა ადვოკატებმა?



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

9 ნოემბერს „რუსთავი 2“-ის მოსამართლემ, თამაზ ურთმელიძემ 6 ნოემბერს დადებული პირობა გადათქვა და იუსტიციის საბჭოში აღარ მივიდა, სამაგიეროდ, წერილი გააგზავნა, სადაც წერს: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე ნებისმიერი მოსამართლე ვალდებულია იზრუნოს სასამართლოს რეპუტაციაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსამართლის წარდგომა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებზე პასუხის გაცემა პირდაპირ თუ არაპირდაპირ დატოვებს კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის მიერ ანგარიშს ჩაბარების შთაბეჭდილებას, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და შექმნის მომავალში ანალოგიურის განმეორების სახიფათო პრეცედენტს, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ საზოგადოებას არ შევუქმნა არასწორი წარმოდგენები და არ გამოვცხადდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. ამ საკითხის განხილვას საბჭოს სხდომაზე ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა.

**რატომ დაიბარა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გვენეტაძემ თამაზ ურთმელიძე? ვინ უშლის ხელს გვენეტაძეს საქმიანობაში? ვისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება, დადგეს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ? რამდენი დღით გააგრძელეს ულტიმატუმის 48 დღიანი ვადა ადვოკატებმა?**

**„ალიას“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

**— რატომ იცავდნენ იუსტიციის საბჭოს წევრები ასე გამწარებულები ურთმელიძეს, მას შემდეგ, რაც ამდენი უსამართლო გადაწყვეილება მიიღო, თუნდაც ჩვენს მიმართ? რა, გვენეტაძეს მასთან კითხვის დასმის უფლებაც არ აქვს?**

– არც ურთმელიძეს და არც სხვა ნებისმიერ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ის ხელშეუხებელია. ურთმელიძემ თავისი ქმედებებით სასამართლოს ზიანი მიაყენა, მე ასე ვაფასებ. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ევალებათ, ამაზე მოახდინონ რეაგირება და სამოქალაქო საზოგადოების თვალში სასამართლოს უნდა დაუბრუნონ ნდობა. გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს იუსტიციის საბჭოს. სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა ურთმელიძე, მანამდე ამ საბჭოს ხმა არ ამოუღია და როდესაც უკვე მიიღო ამ ადამიანმა გადაწყვეტილება, ამის მერე ამოიღეს ხმა და ახლა ცდილობს ნინო გვენეტაძე, პროცესები გამჭვირვალე გახადოს და საზოგადოებას გაჩენილ კითხვებზე უპასუხოს. ფაქტი აშკარაა, ნინო გვენეტაძეს, მიუხედავად თავისი ძალიან დიდი მცდელობისა, უჭირს, ხელი დაატყოს სასამართლო სისტემას. მას საქმიანობაში ხელს უშლიან და შედეგიც სახეზეა.

**— ვინ უშლის ხელს გვენეტაძეს საქმიანობაში?**

– გვენეტაძეს ლევან მურუსიძე მნიშვნელოვნად უშლის ხელს მუშაობაში, ამას მე ვამბობ იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რაც საკუთარი თვალითვე მაქვს ნანახი. რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩემი განცხადების განხილვა იუსტიციის საბჭოში, ხუთამდე სხდომას დავესწარი და საკუთარი თვალით ვნახე, რომ ნინო გვენეტაძეს ხელს უშლიან სამართლიანი სასამართლოს პრინციპით მუშაობაში. მურუსიძე და მისი გუნდი სასამართლოში აკონტროლებს მოსამართლეების ძალიან დიდ ნაწილს, საუბარია მოსამართლეების 50%-ით მეტზე. როდესაც მურუსიძეზე შეტევა განხორციელდა საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, მე მაშინაც ვაპროტესტებდი, რომ არ შეიძლებოდა სასამართლოს ემსჯელა აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებაზე უკანონოდ, როცა ჩვენ უარს ვეუბნებოდით და ვითხოვდით გამოცდის ჩაბარებას. წინა დღით, როდესაც უნდა გამართულიყო იუსტიციის საბჭოს არჩევნები, მთავრობამ გამოხატა მხარდაჭერა მურუსიძესთან მიმართებაში, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისმა მოწინააღმდეგე კანდიდატმა წააგო ხმების რაოდენობით და მურუსიძე გახდა იუსტიციის საბჭოს წევრი. მე ვფიქრობ, რომ ნინო გვენეტაძეს სჭირდება დახმარება, ვინაიდან ის არის უმცირესობაში. დღეს ნინო გვენეტაძე გავლენის გარეშე არის დარჩენილი, ფაქტობრივად, ის ოპოზიციაშია და ის სასამართლო რეფორმას ვერ ახორციელებს.

**— ასეთ შემთხვევაში გამოსავალი რაშია, რა უნდა გააკეთოს გვენეტაძემ?**

– მურუსიძეს ვადა გასდის რამდენიმე თვეში, მერე უკვე დრო აჩვენებს, რა მოხდება. ურთმელიძის თემას რომ დავუბრუნდეთ, საზოგადოებამ არ უნდა დაუვიწყოს ის საქმიანობები, რასაც ის წარსულში სჩადიოდა. მე ადრეც ვამბობდი, რომ იმ მოსამართლეებს, რომლებიც კანონს არღვევდნენ, პირებს, რომლებიც ადამიანებს იჭერდნენ და გადაწყვეტილებებში სხვა ადამიანების გვარებს უთითებდნენ, პირადად მე მქონდა შიში, რომ ხელისუფლება ამ მოსამართლეებს, რომლებზეც ძალიან ბევრი კომპრომატი არსებობდა, ისევ სათავისოდ გამოიყენებდა. ჩემი მოლოდინი ახდა, არ ვიცი, რა კომპრომატები აქვთ თამაზ ურთმელიძესთან მიმართებაში, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ანალიზი გამართლდა და ურთმელიძემ გამოიტანა ძალიან საზიანო გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის საქმეზე.

**— რატომ უწოდეთ ურთმელიძის გადაწყვეტილებას საზიანო? სხვა თემაა, როგორ ჩაიგდო ხელში ქიბარ ხალვაშმა ეს ქონება, მაგრამ რომ წაართვეს და პატრონს უნდა დაუბრუნდეს, ეს თქვენთვის სადავოა?..**

– ყველაფერს სამართლებრივი პროცედურა აქვს. როცა მოსამართლე საქმეს არჩევს და ქონებრივ დავაზე განჩინება გამოაქვს, სადაც საუბრობს გადაცემების პოლიტიკაზე, ეს არ არის მართალი, ეს არ არის მოსამართლის შეფასებები. არ შეიძლება სასამართლოს გამოჰქონდეს გადაწყვეტილება რომელიმე მედიასაშუალების საქმიანობასთან მიმართებაში, სასამართლო არ უნდა ამბობდეს, რომ რომელიმე მედიასაშუალება არასწორად ვითარდება. სასამართლო არ უნდა საზღვრავდეს, ობიექტურად აშუქებს თუ არა მოვლენებს მედიასაშუალება და თუ არ მოეწონება, ადგეს და სხვა მმართველი დაუნიშნოს. ვინ ჰკითხავს ამ საკითხებს მოსამართლეს?

**— თქვენ ღია მხარდაჭერა გამოუცხადეთ „რუსთავი 2“-ს. ამ ფაქტს საზოგადოებაში არაერთფეროვანი შეფასება მოჰყვა, თქვენი მხრიდან ამ მედიასაშუალების მხარდაჭერის მიზეზი რა იყო?**

– ამ კითხვას რომ მივსვამთ, მე გავიხსენებ 4-5 წლის წინანდელ ამბავს, როდესაც სხვადასხვა ჟურნალისტებთან ერთად „ალიას“ ფოტოგრაფიც დააკავეს, ამ ფაქტთან დაკავშირებულ ყველა აქციაზე დავდიოდი. მაშინ უნდა დაებრალებინათ ჩემთვის, რომ ივანიშვილის მხარდამჭერი ვიყავი? როცა „მაესტროს“ ანტენების საქმე იყო, მე და გელა ნიკოლაიშვილი ვიყავით, ვინც ყველა აქციას ვესწრებოდით, შემდეგ ნინო ჯანგირაშვილმა რომ აქცია გააკეთა – „საყვირების აქცია“, მაშინ ადვოკატებიდან მარტო მე ვიყავი. მე ყოველთვის ყველა აქციაზე დავდიოდი და ვაფიქსირებდი, რომ არ შეიძლება მედიაზე ზეწოლა და მათ საქმიანობაში ჩარევა. სწორედ იმიტ-



**„არც ურთმელიძეს და არც სხვა ნებისმიერ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ის ხელშეუხებელია. ურთმელიძემ თავისი ქმედებებით სასამართლოს ზიანი მიაყენა, მე ასე ვაფასებ. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ევალებათ, ამაზე მოახდინონ რეაგირება და სამოქალაქო საზოგადოების თვალში სასამართლოს უნდა დაუბრუნონ ნდობა“**



ომ დავუჭერ „რუსთავი 2"-ს მხარს, რომ, როდესაც ადვოკატს სცემეს, სწორედ „რუსთავი 2" დადიოდა და ავრცელებდა ამ ამბავს, რომ შემდეგში იგივე არ განმეორებულიყო. ახლა რასაც გეტყვით, დაიმახსოვრეთ: ამ განჩინების გამოტანის გამო, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება, დარწმუნებული ვარ, განჩინების გამომტანი პასუხისგებაში მიეცემა, დაუშვებელია ხელისუფლებამ სასამართლოს მეშვეობით გააკონტროლოს რომელიმე მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკა. ასეთი რამ არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს არ გაუკეთებია, სააკაშვილმა დაარბია „იმედი" და ხომ ხედავთ, ქვეყანაში ვერ ბრუნდება. ამ შემთხვევაში ურთმელიძე აგებს პასუხს. ასე რომ, ვფიქრობ, მოვა დრო და მოსამართლე ურთმელიძე იტყვის უფლება, მოიპოვოს ინფორმაცია, ასევე, მოქალაქეს აქვს უფლება, უყუროს ინფორმაციას მისთვის სასურველ საკითხზე ნებისმიერი საშუალებით. როცა შენ ამ მიმართულებას უზღუდავ, აი, ეს არის თავისუფლების შეზღუდვა. მეორე საკითხი, კი, ბატონო, ადამიანი ითხოვს ქონებას, თუ წაართვეს ადამიანს ქონება, მას შეუძლია, მოითხოვოს მისი დაბრუნება, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს „რუსთავი 2"-თან მიმართებაში, რომელიც არის სიცრუის ტელევიზია და ამ ტელეკომპანიასთან მიმართებაში იწყება სხვადასხვა ქმედებები, ეს არის პოლიტიკური ჩარევა, უბრალოდ, ხელისუფლებამ თავისი უგუნური განცხადებებით სიტუაცია გადაიყვანა პოლიტიკურ ჭრილში. ამას კი მოწმობს ის განამავე გზით გააგრძელებს „რუსთავი 2"-ის ხელში ჩაგდებას. ამ ყველაფრის ფონზე კი გამოდიან ქვეყნის პირველი პირები და საუბრობენ, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ამ ადამიანებს რომ ვუსმენ, ვფიქრობ, რომ ისინი დახელოვნებული მატყუარები არიან, ან მეორე ვარიანტია, სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ და არ იციან, რა ხდება საქართველოში. საქმე გვაქვს მოსახლეობის მოტყუებასთან და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობასთან. ამ ტელევიზიით რომ იწყებენ სამართლიანობის აღდგენას თავის ჭკუით, იმ პროკურორებს რატომ არ ახსენებენ, რომლებიც ადამიანებს ქონებას სძალავდნენ, ერთი და იგივე ნოტარიუსი რომ აფორმებდა ყველას ქონებას, ადამიანები რომ „კეთილ სიზმრებს" უყურებდნენ, აყენეს უფროსი, რომ გამოძიებისთვის ხელი არ შეეშალა, მეორე ნაბიჯი იყო ის, რომ დაზარალებულად ცნეს ადვოკატი. მთავარია დამნაშავეების დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა და ველოდები, რას იზამენ. ამ საქმის გამოძიებას მღებრიშვილის უწყება არ აწარმოებს. პოლიციელებმა ჩაიდინეს ეს დანაშაული და პროკურატურა იძიებს. ამის მიუხედავად, გუშინ საღამოს შევხვდით მღებრიშვილს. კარგად მოიქცა, რომ ის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაუშვა. გვითხრა, რომ ყურადღებით ადევნებს თვალს გამოძიებას და შედეგებს ელოდება.

# პროკურატურასთან... მე დავიწყებ... ბინძურად გარიგდა"





„ადვოკატთა ასოციაცია ერთ მუშტადაა შეკრული და არ დაუშვებს ადვოკატთა ასოციაციის წევრის, გიორგი მდინარაძის ამგვარი შეურაცხყოფის ასე გატარებას. შიმშილობის მომენტში შევხედავთ, როგორი იქნება რეაქცია და ამის მერე, თუ საჭირო გახდა, გავიფიცებით კიდეც და საქმეში ჩვენს უცხოელ კოლეგებსაც ჩავრთავთ"

**— მანამდე მთავარი პროკურორის მოადგილეს, შოთაძეს შეხვდით და დაგპირდათ, რომ უმოკლეს დროში გამოიძიებენ საქმეს და დამნაშავეებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ. პოლიციის უფროსის გარდა ვინ ფიგურირებს საქმეში?**

– ის პირები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ადვოკატის ცემაში და ისინიც, ვინც ცრუ ჩვენებები მისცა, თითქოს მდინარაძე იყო რამეში დამნაშავე.

**— კონკრეტულად, ეს პირები ვინ არიან?**

– გამოძიება მიმდინარეობს და მათი დასახელების უფლება არ მაქვს.

**— 48 საათიანი ულტიმატუმი მოიხსნა, თუ ძალაში რჩება?**

– დაველოდებით კვირის ბოლომდე და თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, ორშაბათიდან დავიწყებთ იმის განხორციელებას, რაც ულტიმატუმში ჩამოვაყალიბეთ.

**— გჯერათ, რომ კვირის ბოლომდე დამნაშავეებს დასჯიან?**

– ვნახე საქმე და სერიოზულად აქვთ ნამუშევარი. ამიტომ ვაძლევთ კიდევ ვადას.

**— თუ დაპირება არ შესრულდა, თქვენი პირველი ქმედებები რა იქნება?**

– ჯერ ადვოკატებს შევხვდები, მერე დაიწყება შიმშილობა და ადვოკატთა კორპუსი გაიფიცება.

**— შიმშილობას ყველა ადვოკატი უჭერს მხარს?**

– რომელი ადვოკატიც კოლეგიალობას არ გამოიჩენს, მასვე შერცხვება ადვოკატთა კორპუსის წინაშე.

**— შიმშილობა რამდენ ხანს გაგრძელდება?**

– ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე... სანამ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და დამნაშავეებს არ დააკავებენ.

**— თუ არ მოჰყვება შედეგი ამ შიმშილობასაც, მაშინ რას იზამთ?**

– როგორ არ მოჰყვება, 365 ადვოკატი დაჯდება პროკურატურასთან და თითო დღე თითო კაცი იშიმშილებს. მე დავიწყებ. უკვე 20 კაცია სიაში, ვინც მე შემცვლის. ადვოკატთა ასოციაცია ერთ მუშტადაა შეკრული და არ დაუშვებს ადვოკატთა ასოციაციის წევრის, გიორგი მდინარაძის ამგვარი შეურაცხყოფის ასე გატარებას. შიმშილობის მომენტში შევხედავთ, როგორი იქნება რეაქცია და ამის მერე, თუ საჭირო გახდა, გავიფიცებით კიდეც და საქმეში ჩვენს უცხოელ კოლეგებსაც ჩავრთავთ.

ძალიან ბევრ რამეს, ის არ არის უჭკუო მოსამართლე, გონიერი მოსამართლეა და მე არ მგონია, მას დაეწერა ის, რაც გამოქვეყნდა. მე ვფიქრობ, რომ მას ეს დააწერინეს. აი, ვინც დააწერინა, ის კიდევ უარეს დღეში ჩავარდება, ვინ იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ვისაც არ უნდა „რუსთავი 2", ის არც შეხედავს, მაგრამ ვისაც უნდა მისი ყურება, რატომ უნდა აუკრძალო? ახლა ხალხი რომ მაკრიტიკებს, მეცინება, მე ყოველთვის ჟურნალისტების გვერდზე ვარ, ერთადერთი კორპუსია მედია, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების სწორად ჩამოყალიბება, მათ თითოეული ჩვენგანის მხარდაჭერა სჭირდებათ.

როგორც ჟურნალისტს აქვს ჩინება, რომელიც აფასებს სარედაქციო პოლიტიკას. ხელისუფლება საერთოდ არ უნდა ჩარეულიყო „რუსთავი 2"-თან მიმართებაში, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლების პირველი პირები საუბრობდნენ ამ საკითხებზე. აი, ეს არის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა. ეს ყველაფერი ცნობილია ევროპელი და დასავლელი მეგობარი ქვეყნებისთვის და ამის გამო ჩვენ ყველა დაგვიპირისპირდება. ეს ხელისუფლება, თავის საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი ადამიანებით, არცხვენს ქვეყანას, უკარგავს იმიჯს და ეს არ არის სამართლიანი პროცესი, ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება, რაც ქვეყანას ბნელეთში დააბრუნებს, თუ, მიუხედავად მოწოდებებისა, ხელისუფლება კვლავ შუაღამისას პროკურატურაში მიდიოდნენ და ქონებას სხვას უფორმებდნენ, ეს ყველაფერი ხომ გვახსოვს? ამ საქმეებს რატომ არ იხსენებენ, აქედან რატომ არ იწყებენ სამართლიანობის აღდგენას? სამწუხაროა, რომ ეს ხელისუფლება ბინძურად გარიგდა იმ პროკურორებთან, ქვეყანაში მიმდინარეობს შერჩევითი სამართლიანობის აღდგენა, რაც არის უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილება.

**— პოლიციაში ადვოკატ გიორგი მდინარაძის ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ, თქვენ ხელისუფლებას 48-საათიანი ვადა მიეცით და ამ ვადაში დამნაშავე სამართალდამცველების დაკავება მოითხოვეთ. რამე შესრულდა თქვენი მოთხოვნებიდან?**

– ერთი ნაბიჯი იყო ის, რომ გადა-

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## იოსებიძის ქუჩაზე მაღაზია დააყაჩაღეს




თბილისში იოსებიძის ქუჩაზე მაღაზია დააყაჩაღეს. არსებული ინფორმაციით, უცნობი პირი ფულის გამოძალვის მიზნით მაღაზიის გამყიდველს დანით დაემუქრა.

როგორც ცნობილია, წაღებულია თანხა. შემთხვევის დროს მაღაზიაში მხოლოდ გამყიდველი იმყოფებოდა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## ამხელა ფული მოიპარეთ და როგორ ვერ დააბინავეთ, აზრზე არ ხართ, რა...



შსს-მ „საქართველოს ბანკიდან" 10 მილიონამდე ლარის ქურდობის საქმე გახსნა. როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული თამარ კ. და 1966 წელს დაბადებული მალხაზ ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამჟამად ძებნაში მყოფი, 1977 წელს დაბადებული ილია გელაშვილი მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის" საცავიდან 9 197 771 ლარს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა. გამოძიებით დადგინდა,

რომ ნაქურდალი ფული თამარ კ-მ და მალხაზ ბ-მ წინასწარი შეთანხმების თანახმად გადამალეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, თამარ კ. და მალხაზ ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკისას მოპარული თანხის ძირითადი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ილია გელაშვილის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ფულადი თანხის ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" და მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით. (ambebi.ge)



1. კომპოზიტორი ... ფალიაშვილი
2. ბელგიის დედაქალაქი
3. ქიაჩელი. „... ბიგვა“
4. მაიმუნის სახეობა
5. ისრაელის ფულის ერთეული
6. სამაგიეროს გადახდა
7. რა ქვეითდება შიდსის დროს
8. ზრდადაუსრულებელი ქათამი
9. მეტყველების ორგანო
10. ქმედება ალალბედზე
11. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
12. გარეული ფრინველი
13. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
14. ლითონის ჟანგვის პროცესი
15. ნახატი შარჟი
16. მკერდის კორექციის მასალა
17. მეფის მხლებლები
18. ხელოვნური მზის აბაზანა
19. თვითმფრინავის ფანჯარა
20. ბარდი ალექსანდრე ...
21. ეგვიპტის ფარაონი
22. სტალინის დედა
23. სამართლიანობის ქალღმერთი
24. თბილისის უბანი
25. ქალაქი აშშ-ში
26. ილია ჭავჭავაძის პოემა
27. მგალობელი ფრინველი
28. მხატვარი დიეგო ...
29. სახელმწიფო აზიაში
30. ოპერა „აბესალომ და ...“
31. ცხენირემი
32. თანხა, რომელსაც ოჯახიდან წასული მამა უხდის შვილებს
33. ხორბლის გასალეწი მოედანი
34. მომღერალი ... ჯონი
35. ქვის სახლების მშენებელი
36. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
37. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
38. აცტეკების სამეფოს დედაქალაქი
39. მსახიობი ქეით ...
40. გამხმარი ხილი
41. მეკარე ... იაშინი
42. მომღერალი ... მჟავია
43. პოეტი ... აბაშიძე
44. მხატვარი კამილ ...
45. ცხენის რძის სასმელი
46. ქალაქი სამეგრელოში
47. მსახიობი ... მერფი
48. ხელოვნური ნაწნავი
49. პირის ღრუს თაღი
50. მწერალი ჭაბუა ...
51. მარილიანის გემო
52. ავტობუსის წინამორბედი
53. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
54. კონტინენტი
55. მსახიობი მარლონ ...
56. ძველი ეგვიპტ. დამწერლობა
57. ტროპიკული ნაყოფი
58. თევზის ჯიში
59. სრუტე ინგლისთან
60. დაბა თიანეთის რაიონში
61. გემის ზურგის ნაწილი
62. ესპანელი მხატვარი
63. ჩარხი
64. წამწამის ძირის ანთება
65. ხის ჯიში
66. მოდელი ... კასტა
67. ღლავი
68. შალის საპალტოე ქსოვილი
69. მისი დედაქალაქია დამასკო
70. მცენარე, ხდიან ტეკილას
71. მსახიობი გურამ ...
72. მწერალი ... ბრედბერი
73. არამისი, პორთოსი, ...
74. კერვისას თითის დამცავი
75. ბორცვი იერუსალიმთან
76. მსახიობი ომარ ...
77. მარკების შემგროვებელი
78. სოფელი რაჭაში
79. ჩრდ. ამერიკული დათვი
80. ფულის ერთეული ნიდერლანდში
81. ქალაქი დას. საქართ.
82. გაფუჭებული კვერცხი
83. მწერი
84. მსახიობი ... ოლივიე
85. მორბენალი ფრინველი
86. დაბა ოზურგეთის რაიონში
87. ნიშნავს სწავლებას
88. ნიშნავს ახალს
89. მისი დედაქალაქია ტალინი
90. ცეცხლსასროლი იარაღი
91. მიმიკის უქონლობა
92. მწერალი დენ ...
93. ადმირალი ჰორაციო ...
94. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
95. რეჟისორი ლარს ფონ ...
96. დიდი ჩაქუჩი
97. ტურგენევის მოთხრობა
98. ყავისფერი პიგმენტი
99. ისრაელში იმიგრაციის პროცესი
100. მომღერალი ... ბადურაშვილი
101. ახალგაზრდა კაცი
102. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
103. მამაკაცის სასიმღერო ხმა
104. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
105. დიდი ზომის თხა
106. ოჯახი სოფლად
107. ქიმიური ელემენტი
108. ხის ჯიში
109. ქორეოგრაფი მარის ...
110. მორებით შეკრული ტრანსპორტი
111. ღვინის დეგუსტატორი
112. ამანათი
113. მსახიობი ... ბესინჯერი
114. კუნძული ინდონეზიაში
115. ნართი
116. ნაბიჯი ბალეტში
116ა. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
117. მსახიობი ... მონტანი
118. ქირურგის იარაღი
119. ჩანჩქერი აშშ-ში
120. 100სმ
121. აგენტი ჯეიმს ...
122. მსახიობი ... ჯიროტი
123. ბიზეს ოპერა
124. შენობა, ინახავენ ფულს
125. გემის მზარეული
126. ბეთჰოვენი. „... სონატა“
127. შხამიანი გველი
128. წლოვანება
129. მსახიობი ... ქავჟარაძე
130. მსახიობი ... მანჯგალაძე
131. ამერიკული თოჯინა
132. რუსი ილუზიონისტი
133. ფუტკრების სახლი
134. მსახიობი ... პარიიო
135. მსახიობი ... ბანდერასი
136. გულის დაავადება
137. კომპოზიტორი ... ყანჩელი
138. ქრისტიანთა წმინდა თასი
139. ცეცხლის ენა
140. მსახიობი ... რობერტსი
141. ზამბახი
142. ძვირფას ქვაზე ჭრა
143. ... ფიტცჯერალდი
144. პირის ნაცვალსახელი

პასუხები: 1. ზაქარია; 2. ბრიუსელი; 3. გვადი; 4. ანთარი; 5. შეკელი; 6. რევანში; 7. იმუნიტეტი; 8. ვარია; 9. ენა; 10. რისკი; 11. კუბერტენი; 12. გნოლი; 13. დრაკულა; 14. კოროზია; 15. კარიკატურა; 16. სილიკონი; 17. ამალა; 18. სოლარიუმი; 19. ილუმინატორი; 20. როზენბაუმი; 21. ტუტანხამონი; 22. კეკე; 23. თემიდა; 24. რიყე; 25. სიეტლი; 26. „აჩრდილი“; 27. ტოროლა; 28. ველასკესი; 29. ლაოსი; 30. ეთერი; 31. ლოსი; 32. ალიმენტი; 33. კალო; 34. ელტონ; 35. კალატოზი; 36. კლინტონი; 37. ავლიპი; 38. ტენოჩტიტლანი; 39. უინსლეტი; 40. ჩირი; 41. ლევ; 42. ანანო; 43. ირაკლი; 44. კორო; 45. კუმისი; 46. ხობი; 47. ედი; 48. მინიონი; 49. სასა; 50. ამირეჯიბი; 51. მლაშე; 52. ომნიბუსი; 53. ტიან; 54. აზია; 55. ბრანდო; 56. იეროგლიფი; 57. მანგო; 58. ქარიყლაპია; 59. ლა-მანში; 60. სიონი; 61. კიჩო; 62. გოია; 63. ჯარა; 64. ჯიბლიბო; 65. ტირიფი; 66. ლეტიცია; 67. ლოქო; 68. დრაფი; 69. სირია; 70. აგავა; 71. საღარაძე; 72. რეი; 73. ათოსი; 74. სათითე; 75. გოლგოთა; 76. შარიფი; 77. ფილატელისტი; 78. ღები; 79. გრიზლი; 80. გულდენი; 81. ვანი; 82. ლაყე; 83. კალია; 84. ლოურენს; 85. სირაქლემა; 86. ლაითური; 87. ლოგია; 88. ნეო; 89. ესტონეთი; 90. თოფი; 91. ამიმია; 92. ბრაუნი; 93. ნელსონი; 94. იელი; 95. ტრიერი; 96. ურო; 97. „მუმუ“; 98. მელანინი; 99. ალია; 100. ნინი; 101. ჯეელი; 102. სირ; 103. ბარიტონი; 104. ასინეთა; 105. ჯინვი; 106. კომლი; 107. ქლორი; 108. რცხილა; 109. ლიეპა; 110. ტივი; 111. სომელიე; 112. ბანდეროლი; 113. კიმ; 114. იავა; 115. მაფი; 116. პა; 116ა. ნიტი; 117. ივ; 118. ლანცეტი; 119. ნიაგარა; 120. მეტრი; 121. ბონდი; 122. მასიმო; 123. „კარმენი“; 124. ბანკი; 125. კოკი; 126. მთვარის; 127. ეფა; 128. ასაკი; 129. ლიკა; 130. ეროსი; 131. ბარბი; 132. კიო; 133. სკა; 134. ან; 135. ანტონიო; 136. მანკი; 137. გია; 138. ალი; 140. ერიკ; 141. ირისი; 142. ინტალიო; 143. ელა; 144. მე. იკითხება: ქრიზანთემა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინეთში რეკორდი 18 ათასმა მოცეკვავე... პენსიონერმა დაამყარა



ადამიანი იმდენი წლის არის, რამდენი წლისადაც თავად გრძნობს თავს და ისე იქცევა, როგორც გული უკარნახებს. გული კი, მოგეხსენებათ, არასდროს ბერდება. სწორედ ამის დასტურია აღმოსავლეთ ჩინეთში, ჰებეის პროვინციის მოედანზე 18 ათასზე მეტი პენსიონერის გამოსვლა და სინქრონული ცეკვა.

მოცეკვავეები წითელ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილი და ლითელ ეიფლის მუსიკაზე ცეკვავდნენ.

თავდაპირველად ღონისძიებაში 18 472 მსურველი მონაწილეობდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო 41 მონაწილეს დისკვალიფიკაცია მისცეს.

მსგავსი რეკორდი 2007 წელს აშშ-შიც დამყარდა, მაშინ 17 ათასი მოხალისე მონაწილეობდა. წელს კი, ჩინეთმა რეკორდი გააუმჯობესა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლები ვერაფერს ცვლის.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ტაილანდში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი გარდაიცვალა



ტაილანდელი სურინ პორნჩაი საოსრი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი იყო, მისი სიმაღლე 269 სანტიმეტრს აღწევდა. თუმცა ეს არაოფიციალური მონაცემებია, ამიტომაც სურინი გინესის რეკორდების წიგნში არ შესულა. საპატიო ადგილს კი, თურქი სულთან კესენი იკავებს.

სურინს ზრდის არაბუნებრივი ტემპის გამო სხვადასხვა დაავადება აწუხებდა. გარდაცვალებამდე 9 დღე საავადმყოფოში იწვა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და გაურკვეველი მიზეზის გამო 26 წლის ასაკში გარდაიცვალა. ადგილობრივი მედია სურინის ავადმყოფობისა და მისი ეკონომიკური სიდუხჭირის შესახებ წერდა, რისი დამსახურებითაც მსურველებმა ფული გადაურიცხეს. სურინის დედა ამბობს, რომ გადარიცხული თანხით გაისტუმრეს არა მარტო საავადმყოფოს ხარჯები, არამედ ბინის ფულიც, რომელიც პორნჩაის ავადმყოფობის გამო დაგირავებული ჰქონდათ. დარჩენილი თანხით კი დაკრძალვის ხარჯები დაფარეს.

*newsland.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ინდონეზიელ ნარკოტიკების გამსაღებლებს ნიანგები დაიცავენ



როცა განსაცდელი მოგვადგება კარს, ყველა ხერხით ვიბრძვით და ყველა საშუალება გამართლებულიაო, – ბრძანა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს უფროსმა ბუდი ვასესომ. ახალი ინიციატივის თანახმად, ინდონეზიაში, ერთ-ერთ კუნძულზე აშენდება ციხე ნარკოტიკების შენახვისა და გასაღების გამო ბრალდებული პატიმრებისთვის, რომელსაც ზედამხედველების ნაცვლად ნიანგები დაიცავენ. ვასესოს თქმით, პატიმრები ვერ მოისყიდიან ნიანგებს და ვერც ვერანაირი ხერხით ვერ გადაურჩებიან მათ კბილებს, ამიტომ გადაწყვეტილი აქვს, ყველგან ეძიოს და მოიმარაგოს რაც შეიძლება მეტი სასტიკი ქვეწარმავალი. „ქვეყანა აკრძალული ნივთიერებების წინააღმდეგ იბრძვის. ეს ბრძოლა კი ძალიან რთულია, ამიტომ ყველა ღონეს ვხმარობთ ბრძოლის მოსაგებად, პატიმრებმა თვალებში უნდა ჩახედონ სიკვდილს“, – განაცხადა ბუდი ვასესომ.

ამ ეტაპზე იდეის განხორციელებისა და ციხის სავარაუდო ტერიტორიის დაგეგმვა მიმდინარეობს.

*365news.biz*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## მექსიკის „მაკდონალდსში“ თაგვის თავიანი ჰამბურგერი გაყიდეს



სწრაფი კვების ობიექტები რომ ჯანმრთელობისთვის მავნებელია, ყველამ ვიცით და როგორლაც ვიტანთ, მაგრამ ბურგერში თაგვის თავს რომ აღმოაჩენ, ეს უკვე მავნებლობაზე მეტია. გენერალურმა პროკურატურამ მექსიკის ერთ-ერთ გარეუბანში, „მაკდონალდსში“ მომხდარი ინციდენტის გამო რესტორანი დახურა. კლიენტმა, რომელმაც ბურგერში თაგვის თავი აღმოაჩინა, მოგვიანებით თავი შეუძლოდ იგრძნო და იძულებული გახდა, ექიმებისთვის მიემართა. მოწამლული კლიენტი დამნაშავეების დასჯას ითხოვს. რესტორნის წარმომადგენლობა კი, დანაშაულს არ აღიარებს და ამბობს, რომ მათი პოლიტიკა სწორედ ჯანსაღი და უსაფრთხო კვებაა (რა ცინიზმია). გენერალურ პროკურატურას „მაკდონალდსის“ ფსევდოპრინციპები არ აინტერესებს და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გეგმავს.

მსგავსი შემთხვევების გამო 2014 წელს რუსეთის სამ ქალაქში „მაკდონალდსი“ დახურეს.

*rosbalt.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## მომაკვდავმა ჩინელმა სექსთოჯინაზე იქორწინა



ჩინელები ყველაფერში ინოვატორები არიან. ქორწინების ნიჭიც განსაკუთრებული აქვთ. ჩინელმა ახალგაზრდამ, რომელიც უკურნებელი სენით არის ავად, სექსთოჯინაზე იქორწინა. მისი თქმით, არ სურს ცოცხალ გოგონაზე ქორწინება, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ქვრივად დარჩება. დიდ და ლამაზ ქორწილზე ოცნებობდა, გადაიხადა კიდეც. თოჯინას მაკიაჟი გაუკეთეს და თეთრი კაბით შემოსეს. უცნობია, ახალგაზრდას საერთოდ თუ ჰყავდა მეგობარი გოგონა, იქნებ, თანახმა იყო ხანმოკლე ქორწინებაზე. როგორც არ უნდა იყოს, ეს არ არის თოჯინისა და ადამიანის ურთიერთობის პირველი შემთხვევა. ჩინელმა სონ ბომ, რომელიც ასევე უკურნებელი სენით იყო დაავადებული თოჯინა-ბავშვთან ერთად ფოტოები გადაიღო. თურმე ყოველთვის უნდოდა გოგონა ჰყოლოდა, რომელიც დაავადების გამო არასოდეს ეყოლებოდა.

*og.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ხშირი აწონა ფსიქოლოგიურ პრობლემებს აჩენს

თუ მოდელი არ ხართ და წონა თქვენი წარმატების საშუალება არ არის, ხშირი აწონით ნუ მოუშლით სასწორს ფუნქციას. მით უმეტეს, თუ არ ვარჯიშობთ და არც სწორად იკვებებით, ყოველწუთიანი აწოვა არანაირ სხვაობას არ მოგცემთ.



მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ხშირად აწონა ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს. მინესოტის უნივერსიტეტის სწავლულები 10 წლის განმავლობაში ატარებდნენ ექსპერიმენტს, რომელშიც 1900 ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები, რომლებიც ხშირად დგებოდნენ სასწორზე და უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი წონით, საბოლოოდ მწვავე დეპრესიამდე, დაბალ თვითშეფასებამდე და ანორექსიამდეც მიდიოდნენ.

*myjane.ru*




ფსიქიატრიულ საავადმყოფოში:

– კი, მაგრამ ეს პაციენტი რატომ უშვებს გაზებს ასე შეუჩერებლად?!

– ის ფსიქიატრიის ახალი პერსონაჟია - ამბობს, „გაზპრომი“ ვარო...

*****

საცურაო აუზის მორიგე:

– ბატონებო, დაჯარიმებული ხართ!

– რატომ? მხოლოდ იმის გამო, რომ ლუდს ვსვამთ?!

– არა, ლუდის სმა შეიძლება. ჯარიმა კი იმის გამო დაგეკისრათ, რომ ლუდს აგერ უკვე ოთხი საათია სვამთ და ტუალეტში კი არც ერთხელ გასულხართ!..

*****

კოტე სუპერმარკეტის გამყიდველს მიადგა:

– გუშინ ხურდას რომ მიბრუნებდით, 100 ლარი შეგეშალათ...

– და მაშინვე რატომ არ მითხარით? ახლა უკვე ძალიან გვიანია ამის გარკვევა.

– უი, ძალიან კარგი, მაშინ იმ 100 ლარს აღარ დაგიბრუნებთ!..

*****

– სამედიცინო განათლება გაქვთ?

– ძალიან საშინელი ხელწერა მაქვს.

– მიღებული ხართ!

*****

საჭიროა 7 წამი, რომ საკვები კუჭში მოხვდეს.

ადამიანის თმის ღერს 3 კილოგრამის გაძლება შეუძლია.

პენისის სიგრძე დიდ თითზე 3-ჯერ მეტია.

ქალები 2-ჯერ უფრო ხშირად ახამხამებენ თვალებს, ვიდრე კაცები.

ქალებმა ტექსტი უკვე ჩაიკითხეს ბოლომდე, კაცები კი ისევ თავის დიდ თითს ზომავენ...

*****

აუზში 400 ლიტრი წყალი ჩადის, 405 გამოდის. ამოცანა გვეკითხება: აქვთ მოცურავეებს ნამუსი?!

*****



კოტეს ქუჩაში ძმაკაცი შეხვდა, ეკითხება:

– რას იზამდი, თუ გეცოდინებოდა, რომ ხვალ სამყაროს აღსასრულის დღე დგება?

– რა ვიცი, ალბათ, ყველაფერთან სექსი მექნებოდა, რაც იმოძრავებდა. და შენ?

– მე შევეცდებოდი, არ მემოძრავა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## პლანეტის ყველაზე უცნაური მატლი... 60 წყვილი თვალით



დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია არსება, რომელსაც უკვე უწოდეს პლანეტის ყველაზე უცნაური მატლი – მის 12-მილიმეტრიან სხეულზე 50-დან 60-მდე წყვილი თვალია განლაგებული.

მატლის ახალი სახეობა ბრაიან ევერშმა აღმოაჩინა, რომელიც ველური ბუნების ერთ-ერთი ფონდის ხელმძღვანელია.

მისი ინფორმაციით, აღმოჩენა სრულიად შემთხვევით გააკეთა – მორიგი გადაღებების დროს ერთ-ერთ პარკში მორი გადააბრუნა და მისდა გასაოცრად, ძალიან უცნაური მატლი იპოვა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს არის სრულიად ახალი, მატლის ამ დრომდე უცნობი სახეობა. გარდა ამისა, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ არსება ნაპოვნია „მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ ადგილას“ – ნაკრძალში, რომელიც კემბრიჯთან ახლოს მდებარეობს.

*mir24.tv*

## მიტევების უნარი — ინფარქტისა და ინსულტის პროფილაქტიკა



ადამიანმა წყენა უნდა დაივიწყოს და უნდა შეძლოს მიტევება. აბა, ბოღმის გულში ჩადება რა ბედენაა?! მით უმეტეს, რომ ამ ძალიან იოლი ნაბიჯით ისევ საკუთარ თავს მოუგვარებს ძალიან სერიოზულ პრობლემებს.

კალიფორნიელ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, წყენების დავიწყება გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის საშუალებაა და ზოგადად, ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ახდენს. მათი მტკიცებით, სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ასეთ ადამიანებს ძალიან იშვიათად ექმნებათ არტერიულ წნევასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოსაზრება რომ დაემტკიცებინათ, სპეციალისტებმა ექსპერიმენტიც ჩაატარეს, რომელშიც 200 მოხალისე იყო ჩართული.

რესპონდენტებს შესთავაზეს, ჯერ ეფიქრათ იმ ადამიანებზე, რომლებმაც გული ატკინეს, შემდეგ კი ეცადათ, მათი საქციელისთვის გამართლება მოეძებნათ. ამის პარალელურად, მეცნიერები მოხალისეების წნევასა და გულის მუშაობის რიტმს აკვირდებოდნენ. შედეგად, მას, ვინც წყენის დავიწყებას ვერ ახერხებდა, არტერიული წნევის მკვეთრი ცვლილებები აღენიშნებოდა.

როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, ზოგადად, წნევის ხანმოკლე ცვლილებები ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, მაგრამ, თუკი ეს დიდხანს გრძელდება, შედეგი ჰიპერტონიაა, რაც ინფარქტისა და ინსულტის რისკს რამდენჯერმე ამაღლებს.

*myjane.ru*

## აპათიისა და მღელვარებისგან ქაღალდი დაგიხსნით



აბა, ვისთვისაა უცხო თუნდაც სრულიად მცირედი მიზეზის გამო, მღელვარება და შფოთვა? თავსმოხვეული აზრები კი ნაყოფიერად და ნორმალურად შრომა-მუშაობის საშუალებას სპობს.

მადრიდის ავტონომიური უნივერსიტეტისა და ოჰაიოს ინსტიტუტის სპეციალისტები პრობლემის გადაჭრას ქაღალდის გამოყენებით გვთავაზობენ.

როგორც ირკვევა, თუკი ადამიანი საკუთარ მღელვარებას ქაღალდზე გამოხატავს, შემდეგ კი მას ნაგვის ურნაში მოისვრის, სიმშვიდეს მალევე დაიბრუნებს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს ფსიქოლოგების ძალიან გავრცელებული რეკომენდაციაა, თუმცა ბოლო დრომდე მის მეცნიერულ დონეზე შემოწმებას არავინ ახდენდა.

ამჯერად, საკითხს ბევრად სერიოზულად მიუდგნენ და შესაბამისი ექსპერიმენტებიც ჩაატარეს. როცა მოხალისეები საკუთარ ნააზრევს კითხულობდნენ, მხოლოდ რწმუნდებოდნენ იმაში, რა არის უარყოფითი და რა დადებითი. ხოლო როცა ნაწერს აგდებდნენ, ნეგატიურზე ფიქრისგან მართლაც თავისუფლდებოდნენ.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**11 ნოემბერი:** დღევანდელი მოვლენების განვითარებაში, თქვენი რჩევებით, სასიკეთო ცვლილებების შეტანას მოინდომებთ. აქტიური ქმედებები გეკრძალებათ.

**კურო 22.04-21.05**
**11 ნოემბერი:** შეიძლება ორ უკიდურესობაში ჩავარდეთ. ხან მათემატიკურად ზუსტად იაზროვნებთ, ხანაც, აბსტრაქტულად. გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**11 ნოემბერი:** არ იფიქროთ, რომ თქვენს წინააღმდეგ შეგნებულად მოქმედებენ. თქვენი წყენინება არავის არ უნდა. ყველაფერს თქვენს თავზე ნუ მიიღებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**11 ნოემბერი:** მთლიანად საკუთარ აზრებსა და საქმეებში იქნებით ჩართული და გარშემო არსებული სიტუაციები თქვენზე ვერ იმოქმედებს.

**ლომი 23.07-22.08**
**11 ნოემბერი:** ის ადამიანები შემოიკრიბეთ გარშემო, ვინც შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს. ქველმოქმედებისთვის შესაფერისი დღე არ არის.

**ქალწული 23.08-22.09**
**11 ნოემბერი:** როგორც არ უნდა მოგინდეთ, ექსპერიმენტებს ნუ წამოიწყებთ, ინანებთ. თუ რამე უსიამოვნება უკვე მოხდა, სინანული შემდგომისთვის გადადეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**11 ნოემბერი:** ყველაფერი იღონეთ, რომ ზომიერებისა და ზრდილობის ჩარჩოებიდან არ გამოხვიდეთ. შეიძლება ამის გამო, მეზობლებმა სანანებლად გაგიხადონ საქმე.

**მორიელი 23.10-21.11**
**11 ნოემბერი:** უნდა მიეჩვიოთ აზრს, რომ ისე მოგექცევიან, როგორც ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ადამიანს. როგორც ჩანს, ბოლო ხანს ზედმეტი ყურადღებით გაგანებივრეს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**11 ნოემბერი:** დღეს უსიამოვნებებისა და უხერხული სიტუაციებისგან დაზღვეული იქნებით. სხვა ყველაფერი თქვენს სურვილებსა და აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული.

**თხის რქა 22.12-19.01**
**11 ნოემბერი:** წყლის ნიშნის მქონე ადამიანმა შეიძლება თავისი ამბებით გული საკმაოდ დაგიმძიმოთ. ამიტომ, თქვენს ნაცნობ კირჩხიბებს, თევზებსა და ღრიანკალებს თავი მოარიდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**11 ნოემბერი:** შეეცადეთ, კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ საქმეზე მოახდინოთ, სხვა ყველა, ტყუილად დროს დაგაკარგვინებთ. ყველაფერს ერთბაშად ვერ მოასწრებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**11 ნოემბერი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს გარკვეულ რისკზე წასვლის უფლება მისცეთ. როგორც ჩანს, გაამართლებს, მაგრამ ეს ჩვევაში არ უნდა გადაიზარდოს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
# სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)
ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## დამტკიცებულია: ინტელექტი გამრავლებას ხელს უშლის



რაც არ უნდა სამწუხაროდ მოგეჩვენოთ, აღმოჩნდა, რომ ინტელექტი ადამიანს გამრავლების შესაძლებლობას უსპობს.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა, რომლებმაც ადამიანის ინტელექტის დონის მომატებასა და მემკვიდრეების დატოვებას შორის კავშირი აღმოაჩინეს.

სპეციალისტების განმარტებით, რაც უფრო მაღალია ადამიანის თავის ტვინის განვითარება, მით ნაკლებია შანსი, მან ჯანმრთელი, მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დატოვოს.

ენერგია, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს, რასაკვირველია, უსაზღვრო არ არის. თუკი ის ძირითადად ნეირონებს შორის კავშირის დამყარებისთვის, მათი რაოდენობის მატებისთვის და შესაბამისად, ინტელექტის განვითარებისთვის იხარჯება, მაშინ ორი ფუნქცია – საკვების მომნელებელი და რეპროდუქტიული – თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ჭკვიანია ადამიანი, მით რთულია სრულფასოვანი გამრავლება.

სამწუხარო რეალობაა, თუმცა ეგ არაფერი, სულაც არ არის აუცილებელი, ყველა მეცნიერი მართალი იყოს და მათი კვლევების შედეგები დავიჯეროთ.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოსამართლე ბრალდებულს:
– მაშ ასე, 2012 წლის სექტემბერში თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ქურდებისა და თაღლითების პარტია უწოდეთ.
– არა, პატივცემულო მოსამართლე, მე „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ არ მიხსენებია და სულ სხვა პარტია ვიგულისხმე.
– გეყოთ თვალთმაქცობა, ყველამ კარგად იცის, რომელი პარტიაა ჩვენთან ქურდებისა და თაღლითების!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.20